№5 (7064) 31 მარტი,
ხუთშაბათი, 2016 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

ტკივილიანი მარტი

„აქაა თქვენი მთაწმინდა...“



დღეს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას 77 წელი შეუსრულდებოდა...

კოლხური კოშკი-საქართველოს პირველი პრეზიდენტის სავანე,

ადგილი, სადაც აფრიალდა თავისუფლების პირველი დროშა და ეს დროშა დიდი კონსტანტინეს შთამომავალმა ზვიად გამსახურდიამ ააფრიალა.

ქართველი ხალხის სულიერი მოღვაწეობის დიდ გზაზე, ზვიად გამსახურდია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა.

ზვიადის პიროვნებაში სრულყოფა ჰპოვა, მშობელი ხალხის საუკეთესო თვისებებმა: დიადი აზრით გატაცება, გაუტეხელი ნება, მრისხანე და ზარდამცემ ძალად იყო შენივთებული მის სხეულში.

შარავანდედითაა მოსილი ზვიადის მოწამეობრივი ღვაწლი, შეუპოვარი ბრძოლა ქვეყნისა და ერის თავისუფლებისთვის.

განსაკუთრებული იყო ისტორიული ვითარება და განსაკუთრებული შეიქმნა მისიაც, რომელიც ასეთ დროს უნდა ეტვირთა ერის მეთაურს.

ეროვნული მოძრაობა უნდა შეხებოდა თითქმის ყველა სფეროს, მატერიალურსა და სულიერს.

ზვიადს უწინარეს, ღრმად ჰქონდა შეცნობილი, რომ ხალხის ასამოძრავებლად აუცილებელია თვით ცხოვრების მიერ ნაკარნახევი იდეალების საყოველთაო თვისება. ყოველი ცალკეული პიროვნება უნდა გრძნობდეს ეროვნული მოძრაობის ერთიან ტალღას. ასეთ დროს ძალები ორკეცდება და ყოველი მათგანი ერთი მთლიანის განუყოფელ ნაწილად თვლის თავს.

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა“, „ქართვლის ბედის“ წიაღში შემობრუნებისთვის ზრუნვა იყო ის უმთავრესი ძალა, რითაც ზვიადმა გაიყოლია ბრძოლის ასპარეზზე თანამებრძოლები, მთელი ქართველი ერი, ერი, რომელიც ერთ მუშტად შეკრა.

წარსული, აწმყო და მომავალი, მას უშრეტ ჯაჭვად ჰქონდა გააზრებული და ერთი რგოლის ამოვარდნაც კი ეროვნული უბედურების მაცნედ წარმოედგინა. იგი მთელი არსებით გრძნობდა, ამ უღრმეს შინაგან კავშირს, ამიტომაც, ასე გაითავისა და მისი პოლიტიკა სიყვარულით იწყებოდა ქართული მიწის, ქართული სიმღერის სიყვარულიდან.

მისი გული, გრძნობდა და გონება იტევდა უსაზღვრო სიყვარულს, ღრმა კეთილშობილებას და დიდ სიბრძნეს და ეს ყველაფერი, მან სიცოცხლეშივე უანგაროდ შესწირა საქართველოს. მართალი, შეუდრეკელი სიტყვისა და ფიცის ერთგული გახლდათ თავისი მქუხარე შეძახილებით „მამულიშვილნო!“ აფხიზლებდა მუდამ თანამოძმეთ და თავისი სიცოცხლით, თავისი არსებით, ზნეკეთილი რაინდობის სწორუპოვარ მაგალითს აძლევდა ქართველობას. ლამაზია ასეთი პოლიტიკოსი, ლამაზია ასეთი პოლიტიკა და რაც არ უნდა უცნაურად მოეჩვენოს ვინმეს, უფრო ძლიერიცაა ვიდრე ცბიერ-მელაკუდური.

ზვიად გამსახურდიაზე ფიქრისას, უფრო და უფრო მკვიდრდება ჩემში ერთი აზრი. მოყვასისათვის თავგანწირვაშია ქართული ისტორიის პათოსი და როდესაც დაფიქრდები, რამ მოიყვანა ქართველი ერი დღემდე, რამდენჯერ გადაგვახედა საქართველოს შორეულ საუკუნეებში ჩვენმა ისტორიამ, რამდენჯერ მოგვატარა მოწამეთა, ბაგრატი თუ გელათი, რამდენჯერ ჩაგვაჩოქა დავით აღმაშენებლის საფლავთან, მაგრამ რწმუნდები, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ თავისებურებამ.

ეს თვისება სისხლში ჰქონდა გამჯდარი ერს. ერისკაცები ყოველთვის გვყავდა და ისინი გვაფხიზლებდნენ, რაინდულ სულს გვინერგავდნენ, სურდათ ყოველი ჩვენგანი ღვთით გაწმენდილი და გაბრწყინებული ყოფილიყო, მოძმის ერთგული და მოყვასის მოჭირნახულე. ზვიად გამსახურდიას წინაპართა ღვაწლის დამფასებელი და ჭეშმარიტების ტრფიალი საქართველო სურდა! სწორედ ისეთი კოლხურ კოშკში, რომ ჰქონდა ნანახი და განცდილი.

ის ჭეშმარიტი ჭყონდიდელ–ცოტნეიდელი იყო. „აღმსარებელი მცნებათა უფლისა და დამდებელი სულისა საქართველოსა და მოყვასისათვის“.

ზვიად გამსახურდიამ მართლაც, რომ ყოველდღიური ბრძოლითა და თავგანწირვით გაიარა დიად საქმეთა ასპარეზი და მძიმე ჯვრით შედგა გოლგოთაზე.

31 მარტი საქართველოს პირველი პრეზიდენტის და 18 მარტი ხობის პირველი პრეფექტის თენგიზ ქაჯაიას დაბადების დღეა.

შემთხვევით არაფერი ხდება...

სწორედ სიმბოლურია ისიც, რომ ხიბულაში, ჯიხაშკარში გაურკვეველ ვითარებაში დალია სული საქართველოს პრეზიდენტმა, საჯიჯაოს მახლობლად იმ ადგილას, სადაც განისვენებს მამულისთვის ზვარაკად შეწირული ბ-ნ თენგიზ ქაჯაია.

წლებია ვფიქრობ ,აქაა თქვენი მთაწმინდა... განუყრელია თქვენი სულები. აქედან ხედავთ საქართველოს წვას და ეს წვა ჩვენც გვინათებს გზას, თქვენ, უკვდავებისმიერნო...

ნაირა ბერაია.

გრიგოლ!

24 მარტს ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის (ბერბიჭაშვილის) ეპისკოპოსად კურთხევიდან 20 წელი შესრულდა. ეპისკოპოსად კურთხევის საიდუმლო 1996 წელს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში აღსრულდა.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო ულოცავს მეუფე გრიგოლს და ფოთისა და ხობის ეპარქიას მეუფის ეპისკოპოსად კურთხევის საიუბილეო თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, რათა კიდევ მრავალი წელი ქრისტესმიერი სიყვარულით გვიწინამძღვროს ცხონების გზაზე.

18 მარტი—ხობის პირველი პრეფექტის, თენგიზ ქაჯაიას დაბადების დღე



თენგო ქაჯაია არის და იქნება ჩაუქრობელი მანათობელი კვარი იმ წკვარამისა, რომლის ბნელეთს მრავალი გმირი ქართველის, მათ შორის საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას და სხვა მამულიშვილთა სიცოცხლე შეეწირა.

მაგრამ გამოჩნდა ნათელი, მოდგა ახალი დრო, ახალი ჟამი, ახალი ეპოქა, რომელსაც ძალუძს ჭეშმარიტების საკადრისად შეფასება.

ჩვენ კი დიდი გმირების ხსოვნის უკვდავსაყოფად მოგვცემოდეს უნარი და ძალი ნეტარყუჩობისა და სიყვარულისა.

ეროვნულ ძალთა კავშირი „თანადგომა“.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის სალოტბარო სკოლას საჩუქრები გადაეცა

24 მარტს ხობის მუნიციპალიტეტს საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები ესტუმრნენ. სტუმრებმა ხობის სალოტბარო სკოლას სასწავლო ლიტერატურა, კომპაქტდისკები და ხალხური საკრავები საჩუქრად გადასცეს. ღონისძიებას სამეგრელო ზემო-სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი ლევან შონია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

ხობის სალოტბარო სკოლაში 120 მოსწავლე ქართულ ხალხურ სიმღერასა და გალობას ეუფლება, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, სახელმწიფო დაფინანსებით, სწავლა განაგრძონ თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში. გარდა ამისა, ახალგაზრდებს შეეძლებათ, ჩაერთონ სხვადასხვა ფესტივალსა და ღონისძიებაში, რაც საგრძნობლად გამოაცოცხლებს რეგიონის კულტურულ და ტურისტულ ცხოვრებას.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, გუბერნატორი ლევან შონია ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათ ხობის მუნიციპალიტეტში დაგეგმილ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ესაუბრა.

ხოგელი ნუგზარ წურწუმია ფრეიდენფილდსის თასის გამარჯვებული გახდა



საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ლატვიის დედაქალაქ რიგაში გამართულ ფრეიდენფილდსის თასზე, გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. შეჯიბრების პირველ დღეს საქართველოს ნაკრებმა ოთხი წონითი კატეგორიიდან ოთხივეში გაიმარჯვა და ოქროს ოთხი მედალი მოიპოვა. ტურნირის ჩემპიონები ნუგზარ წურწუმია (50 კგ.), დავით ჩხარტიშვილი (60 კგ.), თემურ ჭკუასელიძე (74 კგ.) და გიორგი მელია (96 კგ.) გახდნენ.

შეხვედრა „ღირსეული მომავლისთვის“ პროგრამის ფარგლებში

29 მარტს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში, ხობის მუნიციპალიტეტში ჩასახლებულ დევნილებს, სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ წარმომადგენელი შეხვდა.

სააგენტოს წარმომადგენელმა შეხვედრის მონაწილეებს, მიაწოდა ინფორმაცია იძულებით გადაადგილებულ პირთათვის–დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ.

სააგენტოს წარმომადგენელმა ასევე, ისაუბრა ახალ საპილოტე პროგრამაზე, რომელიც სოციალურად დაუცველი დევნილი სტუდენტების პროფესიული განათლების მიღებაში ხელშეწყობას გულისხმობს. პროგრამა ითვალისწინებს, სოციალურად დაუცველი დევნილი სტუდენტებისთვის ტრანსპორტირების ან დროებითი საცხოვრებლის საფასურის დაფარვას. პროგრამა ამ ეტაპზე შემუშავების სტადიაშია. ამასთან, შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული საარსებო წყაროების ის პროგრამები და პროექტები, რომლებსაც სხვადასხვა სახელმწიფო უწყება ახორციელებს, როგორებიცაა: „აწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამები და სხვა. აღნიშნულ პროგრამებში დევნილთა ჩართულობის უზრუნველყოფა სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

სააგენტოს წარმომადგენელმა შეხვედრაში მონაწილე დევნილებს, დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მათ მიერ დასმულ კითხვებზე.

მიწის კერძო საკუთრებაში რეგისტრაციისთვის გარემრეგი იხსნება

უცვლელად გთავაზობთ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას მიწის კერძო საკუთრებაში რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მიწის რეგისტრაციას ამარტივებს და მოქალაქეთათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მთავრობის სხდომამ 17 მარტს დაამტკიცა. კანონპროექტების ავტორია იუსტიციის სამინისტრო. ცვლილებების მიზანი იმ სირთულეების აღმოფხვრაა, რასაც მიწის ნაკვეთების მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში აწყდებიან. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ინიციატივის თანახმად, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა მარტივდება; იხსნება ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდება.

სპეციალური პროექტისა და შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის მომზადება მიწის რეგისტრაციის კუთხით არსებულმა პრობლემებმა გამოიწვია. კერძოდ, დღეისათვის ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების 25%-მდეა რეგისტრირებული, რაც ძალიან ცოტაა. ცვლილებების უმთავრესი მიზანი სწორედ მიწის რეგისტრაციის პროცესის გამარტივება და წახალისებაა. პროექტზე მუშაობისას გამოვლინდა მიწის მარტივი რეგისტრაციისთვის ხელისშემშლელი პრობლემები და მათ აღმოსაფხვრელად მომზადდა სპეციალური საკანონმდებლო ცვლილებები. კერძოდ: შემუშავდება საამზომველო ნახაზის ერთიანი სტანდარტი, პროექტში ჩართული ამზომველები სერტიფიკაციას გაივლიან.

დღესდღეობით აზომვით ნახაზში არსებული უზუსტობა ხშირად ხდება მიწის რეგისტრაციის ხელისშემშლელი ფაქტორი. ე. წ. გადაფარვების არსებობის გამო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საჯარო რეესტრს 56 000-მდე სარეგისტრაციო საქმის შეჩერება მოუხდა, პრობლემის მოგვარება კი დღეს მხოლოდ სასამართლოს გზითაა შესაძლებელი, რაც მოქალაქეების დროისა და რესურსის ხარჯვას ნიშნავს.

ამ პრობლემების მიზეზი საამზომველო საქმიანობის სფეროს მოუწესრიგებლობაა - აზომვითი ნახაზების შედგენის უფლება ნებისმიერ პირს აქვს. ხშირად საკადასტრო ნახაზები ოფისიდან გაუსვლელად სრულდება, რაც ცდომილების მიზეზი ხდება, აფერხებს მიწის რეგისტრაციის პროცესს და ლახავს მესაკუთრეთა უფლებებს.

პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული ცვლილებების შედეგად ამზომველების საქმიანობა სერტიფიცირებას დაექვემდებარება და იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდება აზომვითი ნახაზის ერთიანი სტანდარტი. საამზომველო საქმიანობისათვის დადგინდება მომსახურების საფასური (ნიხრები). საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელს შეეძლება, ადგილზე გადაამოწმოს სარეგისტრაციოდ წარდგენილ საკადასტრო ნახაზზე დატანილი მონაცემების სისწორე. სერტიფიცირებულ ამზომველთა ქსელი სამ თვეში შეიქმნება, ხოლო სერტიფიცირება შეეხება იმ ამზომველებს, ვინც პროექტში მიიღებს მონაწილეობას. ინიციატივის შედეგად უფრო მეტად იქნება დაცული როგორც მიწის მესაკუთრეების, ისე ამზომველების უფლებები. სერტიფიცირებულ ამზომველს ეცოდინება, როგორ აზომოს საკუთრება ცდომილების გარეშე, რაც მინიმუმამდე დაიყვანს „გადაფარვებისა“ და საკუთრებაზე სასამართლო დავის წარმოშობის რისკს; კვალიფიციური ამზომველის საქმიანობა კი მოთხოვნადი გახდება. ამასთან, მთავრობა შეიმუშავებს მიწის გარკვეული ფართობის აზომვის საფასურის დაფინანსებისათვის შესაბამის მექანიზმს.

სახელმწიფო მოქალაქეს დაეხმარება საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში

დღესდღეობით მოქალაქე მიწის რეგისტრაციისას ვალდებულია, მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგინოს სრული დოკუმენტაცია, რაც მიწაზე მის საკუთრებას დაადასტურებს; დოკუმენტებში ხარვეზების არსებობის შემთხვევებში კი, საჯარო რეესტრი უარს ამბობს ქონების რეგისტრაციაზე. დოკუმენტების ხელახლა შეგროვება და დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორება მიწის მესაკუთრის ვალდებულებაა - სხვაგვარად მისი საკუთრება ვერ დარეგისტრირდება.

მთავრობის მიერ დამტკიცებული ცვლილებების თანახმად, საჯარო რეესტრი რეგისტრაციის პროცესის თანამონაწილე გახდება. დოკუმენტების, მათ შორის, საარქივო დოკუმენტაციის, მოძიებაში მოქალაქეს საჯარო რეესტრი დაეხმარება. იზრდება იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალიც, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მიწის რეგისტრაცია. ცვლილებების თანახმად, ქონების რეგისტრაციაზე უარის მიზეზი მხოლოდ დოკუმენტებში არსებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობა გახდება. უმნიშვნელო ხარვეზი - მფლობელის სახელის, გვარის შეუსაბამობა-უზუსტობა ასოებში; არასწორი დაწერილობა და სხვა - აღარ გახდება მიწის რეგისტრაციის ხელისშემშლელი, თუკი პიროვნების სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (მაგალითად, პირადი ნომერი, საცხოვრებელი მისამართი და ა. შ.) ერთმანეთს შეესაბამება. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებისათვის. გარდა ამისა, მოხდება ხარვეზიანი დოკუმენტაციის ლეგალიზაცია, გამოყენებულ იქნება ფაქტების კონსტატაცია. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობა მჭიდროდ ითანამშრომლებენ საკუთრების დადგენის ნაწილში, რაც შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით იქნება მხარდაჭერილი.

სახელმწიფო მესაკუთრეებს დავების მოგვარებაში დაეხმარება

მიწის რეფორმის ფარგლებში შემოთავაზებული ცვლილებების შედეგად სახელმწიფო მოქალაქეს დავის მოგვარების სწრაფ და იაფ მეთოდს შესთავაზებს. მედიატორების, მათ შორის, სანოტარო მედიაციის, მეშვეობით სახელმწიფო მოქალაქეებს საკუთრებაზე წარმოქმნილი დავების მარტივად–სასამართლო დავის გარეშე, მოგვარებაში დაეხმარება. დავის შემთხვევაში, მოქალაქეს ექნება არჩევანი–ისარგებლოს მედიაციით, თუ მიმართოს სასამართლოს და იქ დაიცვას საკუთრების უფლება.

სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები (დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია, ნოტარიუსის მიერ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერის დამოწმება, მედიაცია, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, ფაქტების კონსტატაცია) უსასყიდლოდ შესრულდება, მიწის რეგისტრაცია ან ნაკვეთზე საკუთრების უფლებებში ცვლილება საჯარო რეესტრის მომსახურების საფასურის გარეშე განხორციელდება.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მალე ამოქმედდება

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ამოქმედებასთან დაკავშირებით, უკვე დამთავრდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან შეხვედრები. გამოიკვეთა და გადაწყდა შესასრულებელი სამუშაოები, სულ მალე მოხდება პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა და მისი განხორციელება. სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება.

ზემოთაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ბატონ ვარაზ გაბელაიას

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, მისი არსი, საიდან ფინანსდება, რა სამუშაოებს ითვალისწინებს?

–„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა. სულ გამოიყო 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) ლარი. აქედან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (გარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის მოსახლეობისა), მოახდინა ხობის მუნიციპალიტეტისთვის გამოსაყოფი თანხის გაანგარიშება, რამაც შეადგინა 848 311 ლარი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ მიზანს წარმოადგენს სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობით არსებული პრობლემების წარმოჩენა და შესაბამისად მისი მოგვარება. როგორიცაა:

ა) გზები;

ბ) სანიაღვრე არხები;

გ) ხიდები და ხიდ-ბოგირები;

დ)ბაღების რეაბილიტაცია;

ე) მოსაცდელები;

ვ) წყალსადენი სისტემა;

ზ) ბიბლიოთეკები;

თ) სპორტდარბაზი, სტადიონები, სპორტული ინვენტარი და ა.შ.

როგორია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსება, შეიცვალა თუ არა იგი წინა წლებთან შედარებით, თუ მუდმივად ერთი და იგივე ციფრითაა წარმოდგენილი?

–წინა წელთან შედარებით წელს გამოყოფილი თანხა ოდნავ მეტია და შეადგენს 848 311 ლარს.

როგორი დაანგარიშებით გამოეყოფა თემს (სოფელს) დაფინანსება, სულადობის მიხედვით თუ კომლთა რაოდენობით?

–საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მოსახლეობის რაოდენობის თაობაზე სსიპ–საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (გარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის მოსახლეობისა), ახორციელებს მუნიციპალიტეტისთვის გამოსაყოფი თანხის გაანგარიშებას. დაფინანსება ხდება სულადობის მიხედვით.

ადგილებზე, ანუ ტერიტორიულ ორგანოებში, ვინ განსაზღვრავს შესასრულებელი სამუშაოების პრიორიტეტს, ხდება თუ უნდა ხდებოდეს მთელი მოსახლეობის ჩართულობა ამ საქმეში. თქვენ, როგორ შეაფასებთ ამ კუთხით ჩატარებულ საქმიანობას, ვინ არის პასუხისმგებელი მოსახლეობის ამ კუთხით ინფორმირებაზე?

–„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ თანხის გამოყოფის შემდეგ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ ხდება მოსახლეობის დაუწყება მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის საშუალებით. ამის შემდეგ ეწყობა შეხვედრები დაგეგმილ დროს. შეხვედრაზე მოსახლეობის გადაწყვეტილებით ხდება პრიორიტეტების გამოკვეთა და დასახვა. შესაბამისად, დგება მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს შესაბამისი თანხების განკარგვა.

უკვე დამთავრებულია შეხვედრები მოსახლეობასთან, რა პრობლემები გამოიკვეთა, რომელ სამუშაოებს მიენიჭა უპირატესობა?

–მოსახლეობის გადაწყვეტილებით პრიორიტეტი მიენიჭა შემდეგ საკითხებს:

ა) გზების რეაბილიტაცია;

ბ) სანიაღვრე არხების ამოწმენდა;

გ) ხიდბოგირების რეაბილიტაცია;

დ) ბაღების რეაბილიტაცია;

ე) ცენტრის კეთილმოწყობა

და ა.შ.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ რეაბილიტირებული საბავშვო ბაღები

ხეთა

ხამისქური

პირველი მაისი

ნოჯიხევი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში პრობლემები იდენტურია თუ არის სხვაობები ზონების მიხედვით?

ყველა სოფელში თითქმის ერთნაირი პრობლემაა. პირველ რიგში ითხოვენ გზებისა და ხიდბოგირების რეაბილიტაციას, სანიაღვრე არხების ამოწმენდას, თუმცა არის სხვა პრიორიტეტებიც (ბაღების, წყალსადენის რეაბილიტაცია, მოსაცდელის, ცენტრის კეთილმოწყობა, მემორიალი და ა.შ.), რა მიმართულებითაც მოსახლეობის გადაწყვეტილებით, მიიმართება თანხები.

როდიდან დაიწყება კონკრეტული სამუშაოები ადგილებზე?

–სამუშაოების დაწყებას გარკვეული დრო სჭირდება. სოფლებში განისაზღვრა პრიორიტეტები და შედგა შეხვედრის ოქმები. ამის შემდეგ ეს დოკუმენტაცია გადაიგზავნება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, სადაც უნდა მოხდეს მისი დამტკიცება. ამ პროცედურის გავლის შემდეგ კონკრეტულ სამუშაოზე შედგება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, გამოცხადდება ტენდერები და გამოვლინდებიან გამარჯვებულები, რომლებთანაც დაიდება ხელშეკრულებები კონკრეტული სამუშაოების განსახორციელებლად.

ესაუბრა
მანანა შულაია.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №99/2016
№66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის შესახებ

ქ. თბილისი **2016 წლის 4 თებერვალი**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-20 მუხლის მე-6 და მე-10 პუნქტების საფუძველზე გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატებიდან, აკმაყოფილებენ რა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-20 მუხლის მე-11, მე-13 და მე-17 პუნქტების მოთხოვნებს და ამავდროულად, სახელობითი კენჭისყრის შედეგების შესაბამისად მიიღეს რა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-19 მუხლის მე-4 პუნქტითა და მე-20 მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი ხმების საჭირო ოდენობები, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-20 მუხლის მე-7, მე-10 და მე-16 პუნქტების, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებად არჩეულიქნენ:

1. შორენა ცქირია;
2. სოფიო პერტია;
3. მანანა თათარიშვილი;
4. ჯემალ შეროზია;
5. დათუნა ჯობავა.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2016 წლის 17 თებერვლიდან

კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანია
კომისიის მდივანი გიორგი ჯავახიშვილი

2016 წლის 22 მაისს საკრებულოს შუალედური არჩევნები გაიმართება

№127/2016 განკარგულებით ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს–საკრებულოს შუალედური არჩევნები გაიმართება. №66 ხობის საარჩევნო ოლქის №17 ყულევის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში.

17 თებერვალს №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე არჩეულიქნენ:

დათუნა ჯობავა–
კომისიის თავმჯდომარე

დაიბადა 1975 წლის 17 იანვარს

დაამთავრა ქ.ქუთაისის მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტი ინჟინერ-ტექნოლოგ-ეკოლოგის სპეციალობით.

1994- 2015 წ.წ. მუშაობდა პირველი გურიფულის, პირველი ხორგისა და შუა ხორგის სკოლებში მასწავლებლად.

2015-2016 წ.წ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, მთავარ სპეციალისტად.

2016 წლის იანვრიდან ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსად.

შორენა ცქირია–თავმჯდომარის მოადგილე.

დაიბადა 1971 წლის 19 ოქტომბერს.

დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტი ტექნოლოგის სპეციალობით.

1992-1993 წ. წ. მუშაობდა ხობის საკონსერვო ქარხანაში

1993-1996 წ.წ. ხობის ჩაის ფაბრიკა

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი

სოფიო პერტია–
კომისიის მდივანი

დაიბადა 1977 წლის 5 მაისს.

დაამთავრა ქუთაისის ი. პეტრიწის სახ. უნივერსიტეტი ისტორიკოსის სპეციალობით.

1994-2006 წ.წ იყო ბიის საჯარო სკოლაში პედაგოგი, დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში

2006 წ. 7 მარტიდან არჩეულია №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნად.

ჰყავს მეუღლე და 3 შვილი

ჯემალი შეროზია–
კომისიის წევრი

დაიბადა 1985 წლის 8 ოქტომბერს.

დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟ.შარტავას სახელობის სენაკის ფილიალი, ბიზნესისა და მართვის სპეციალობით.

2008-2010 წ.წ.მუშაობდა სოციალური მომსახურების სააგენტოში. სოციალურ აგენტად

2011-2012 წ.წ. ხობის პროფესიული სწავლების ცენტრში სპეციალისტად.

2012-2016 წ.წ. განათლების ცენტრში მთავარ სპეციალისტად.

მანანა თათარიშვილი–კომისიის წევრი

დაიბადა 1965 წლის 21 აგვისტოს.

დაამთავრა სოხუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

1984-2016 წ.წ. მუშაობდა ნოჯიხევის №30 სპტს სასწავლებელში, I გურიფულის სკოლა-გიმნაზიაში, ქ. ხობის №1 საჯარო სკოლაში და ნოჯიხევის №1 საბავშვო ბაღში მასწავლებლად.

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი

„სუფთა გარემო ჩემი უფლებაა, გარემოს დაცვა–მოვალეობა“

1992 წელს, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ინიციატივით, საფუძველი ჩაეყარა მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს გარემოსდაცვით კამპანიას–„დავასუფთაოთ მსოფლიო“ (Clean up the would). აღნიშნული კამპანია ადგილობრივი გარემოს გაუმჯობესების მიზნით, აერთიანებს ხელისუფლების წარმომადგენლებს, ბიზნესსექტორს, საზოგადოებრივ ორგანიზატორებს, სკოლებს და ცალკეულ პირებს ფართომასშტაბიანი აქციების და პროგრამების განსახორციელებლად.

ამ მიზნით 22 მარტს, პროექტ „დავასუფთაოთ საქართველოს“ ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტში მოეწყო მდინარეებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავების ფართომასშტაბიანი აქცია.

აქციაში მონაწილეობა მიიღო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ (გამგებელი ბატონი გოგი ქაჯაია), ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (თავმჯდომარე ბატონი ედიშერ ჯობავა). მასში ასევე მონაწილეობდნენ ხობში არსებული საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, სხვადასხვა სამსახურების და დაწესებულებების უფროსები და თანამშრომლები. სოფლის რწმუნებულები, მოსახლეობა. ნაგავი გატანილიქნა ცაისში არსებულ ნაგავსაყრელზე.

აქციას კოორდინირება წარმატებით გაუწია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელმა ნ. ღვინჯილიამ.

იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ივიწყებენ თავიანთ მოვალეობებს და ანაგვიანებენ გარემოს, ხობის სკვერში დაიდგა ბანერი, რომელიც მათ შეახსენებს ბუნების დაცვაზე არსებული კანონის მკაცრ ზომებს (ბანერი დამზადებულია კამპანია „დავასუფთაოთ საქართველოს“ მიერ).

საქართველოში გარემოს დაბინძურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ნარჩენები, რომელთა შეგროვება–გატანა–განთავსება გამართული სისტემით მთელ ტერიტორიაზე ვერ ხორციელდება.

პოლიმერული მასალის წარმოებამ კაცობრიობას დიდი საფრთხე შეუქმნა, ისინი მიწაში პრაქტიკულად არ იშლებიან. ამ მასალამ დაარღვია ბუნებრივი ციკლი: „რაც წარმოიქმნება უნდა დაიშალოს და მიწას მიებაროს“.

ყურადღებაა მისაქცევი, რომ პოლიეთილენი უარყოფითად იმუხტება. მოხმარებისას მისი საფრთხე უქმნის. ადამიანი საკვებს იღებს არა მარტო პირით, არამედ კანით, ცხვირით, ყურით, თვალით. თვალით აღებული საკვები ის უხილავი ფენომენია, რომელიც სხეულში შემოდის ქვეცნობიერად, ამის თვალსაჩინოებაა ჩინელებში და იაპონელებში ნახატით და იეროგლიფებით დამკვიდრებული მკურნალობის მეთოდი.

სტიქიური ნაგავსაყრელიდან კი რა ენერგია უნდა გადავიდეს ადამიანში!!!

ამიტომ ჩვენ უნდა მივყვეთ ღვთიურ წესრიგს და ედემის ბაღი არ უნდა ჩავანაცვლოთ სტიქიური ნაგავსაყრელებით.

ძვირფასო მკითხველებო! ერთად შევამციროთ სამარცხვინოდ მიმოფანტული ნარჩენი ჩვენს ქვეყანაში, რათა ვიცხოვროთ ჯანსაღ გარემოში.

მედეა ქობალია,
მოძრაობა „დავასუფთაოთ საქართველოს“ წარმომადგენელი ქ. ხობში.

სოფელი

„ვცდილობთ, ვიყოთ მოსახლეობის გვერდით“

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი პირველი ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში ბატონი კობა ლეფსაია

ისაუბრეთ თქვენზე...

–დავიბადე 1965 წლის 24 აგვისტოს, სოფელ ხორგაში. 1982 წელს წარჩინებით დავამთავრე საშუალო სკოლა. 1982-1983 წლებში ვსწავლობდი ხეთის პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც ასევე წარჩინებით დავამავრე. 1983 წელს ჩავირიცხე ქ. კალინინის (ამჟამინდელი ქ. ტვერი) პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დავამთავრე 1988 წელს. 1989 წლიდან ჩემს მეგობრებთან ერთად, აქტიურად ჩავები ეროვნულ მოძრაობაში. ვიყავი „ილია მართლის საზოგადოების“ წევრი. 1990-92 წლებში ვმუშაობდი პირველი ხორგის მეურნეობაში ინჟინერ-მელიორატორად. 1993 წელს, გაუსაძლისი პირობების გამო, როგორც მილიონობით საქართველოს მოქალაქემ, დავტოვე საქართველო და 1997 წლამდე პოლონეთში ვიმყოფებოდი, შემდეგ უკრაინაში, ხოლო 2000-2007 წლებში აღმოვჩნდი საბერძნეთში...

თქვენ გამგებლის წარმომადგენელი ბრძანდებით თქვენს სოფელში, რა კრიტერიუმით მოხდა თქვენი დანიშვნა ამ თანამდებობაზე?

–2014 წლიდან ვარ გამგებლის წარმომადგენელი პირველი ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში. ამ თანამდებობაზე დანიშვნა გამგებლის პრეროგატივაა, ხოლო რაც შეეხება კრიტერიუმებს, ალბათ არამარტო ჩემთან, არამედ ყველა შემთხვევაში, ადამიანი ფასდება ცოდნით, გამოცდილებით, ადამიანებთან ურთიერთობის უნარით, სიყვარულით საკუთარი ხალხის მიმართ და ა.შ.

როგორ შეაფასებდით თქვენი მუშაობის პერიოდს და რა გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში სოფელში?

–მეორე წელია, რაც ვმუშაობ გამგებლის წარმომადგენლად. ამ ხნის განმავლობაში ნაწილობრივ შესრულდა სანიაღვრე არხების ამოწმენდა, შიდა გზების მოხრეშვა. რაც მთავარია, შარშან მთელი თანხა, რაც იყო გამოყოფილი ჩვენი სოფლისთვის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში (დაახლოებით 17 ათასი ლარი), მოხმარდა სოფლის საბავშვო ბაღის გაფართოებას და სარემონტო სამუშაოებს. შედეგი სახეზეა, დღეს ჩვენი ბავშვები იმყოფებიან უფრო კომფორტულ გარემოში, ვიდრე ეს იყო მანამდე. ბაღს ფართი მოემატა, ასევე ხელახლა გაკეთდა მთავარი სპეციალისტის ოთახი, გარემონტდა სამზარეულო, არის ცხელი წყალი, შიგნით განთავსდა სველი წერტილიც და ა.შ. ბავშვებზე ზრუნვა ხომ თითოეული ჩვენთაგანის ვალია.

თუ როგორ შევაფასებდი ჩემი მუშაობის პერიოდს, ეს უფრო უპრიანი იქნებოდა სოფლის მოსახლეობისთვის გეკითხათ. ისე, მე ყოველთვის კრიტიკულად ვარ განწყობილი საკუთარი თავის მიმართ, ვფიქრობ, უფრო მეტის გაკეთება უნდა შევიძლოთ.

რისი გაკეთება ვერ შეძელით, რაზე გწყდებათ გული და ოცნება, რომელიც ვერ აისრულეთ?

–ადამიანი უნდა იყოს ობიექტურად შემფასებელი. უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის და განვლილი წლების მიმართ რა თქმა უნდა, გული მწყდება იმაზე, რომ მე და მილიონობით ქართველმა, ცხოვრების გამორჩეული წლები საზღვარგარეთ, უმძიმეს ფიზიკურ შრომაში გავატარეთ იმის გამო, რომ აქ, საქართველოში ოჯახი მერჩინა. ჩემთვის მთავარი და უმთავრესი არის სამშობლო. მინდოდა მენახა ერთიანი, ძლიერი, ერთ მუშტად შეკრული საქართველო. რომელიც სამწუხაროდ, ჯერ ისევ ოცნებად მრჩება.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში რა სამუშაოებია დაგეგმილი თქვენს სოფელში?

–„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით წელს სოფელმა გადაწყვიტა, მოხდეს სანიაღვრე არხების ამოწმენდა და გზების მოხრეშვა. ამ პროგრამის ფარგლებში ჩვენი სოფლისთვის გამოყოფილი 17144 ლარი. აღვნიშნავ, რომ სანიაღვრე არხების ამოწმენდა არის ჩვენთვის უპირველესი ამოცანა, მაგრამ ეს სამუშაოები ვერ გაკეთდება მხოლოდ „სოფლის მხარდაჭერის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხით, რადგან სამუშაოების მოცულობა ძალიან დიდია.

მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად რიგდება მიწის ხვნა-თესვის ბარათები, რა ხდება თქვენთან სოფელში?

–რაც შეეხება, საგაზაფხულო ხვნა-თესვის ბარათებს, მოსახლეობამ ეს ბარათები დიდი ხნის წინ მიიღო. თითოეულ ბენეფიციარს აქვს მასზე გამოყოფილი ბარათი. ვინც ვერ შეძლო ჩვენთან მოსვლა, აღნიშნული ბარათები ჩვენ სახლში მივუტანეთ, ასე რომ, ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ გვაქვს.

რადგან ამ თემას შევეხეთ, მინდა აღვნიშნო ის დიდი ღვაწლი, რაც დღევანდელ ხელისუფლებას არა მარტო ხვნა-თესვაში, არამედ საერთოდ სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში მიუძღვის. ამით გლეხი მიწას დაუბრუნდა, წლობით მიგდებული სახნავი მიწები მოიხნა, ასევე წარმატებით ხორციელდება პროექტები „აწარმოე საქართველოში“, „დანერგე საქართველოში“. წინა ხელისუფლების მმართველობის ხანაში მიგდებული სოფლის აღორძინება დღევანდელმა ხელისუფლებამ ერთ-ერთ პრიორიტეტად გახადა. საქართველო ხომ მიწათმოქმედების ქვეყანაა, სწორედ ამიტომ შეარქვეს ჩვენს ქვეყანას ბერძნებმა „გეორგია“.

პირველ ხორგაში სანაქებო სკოლა ფუნქციონირებდა. ოპტიმიზაციის გამო სკოლას რიგი ფუნქციები ჩამოერთვა, ამჯერად რამდენი კლასია? ცდილობთ თუ არა, რომ სკოლას ძველი „დიდება“ დაუბრუნოთ შენობა სხვა რამეში გამოიყენოთ?

–რაც შეეხება პირველი ხორგის სანაქებო სკოლას, მას ოპტიმიზაციის გამო ფუნქციები ჩამოერთვა. ამჟამად მხოლოდ I-IV კლასია. სულ 10 მოსწავლე გვყავს. ეს ყველაზე მტკივნეული თემაა თითოეული ხორგელისთვის. ჩვენ ხომ გამორჩეული წლები, რასაც ბავშვობა ჰქვია, ამ სკოლის კედლებში გავატარეთ. ამ სკოლამ უნიჭიერესი თაობები გამოზარდა, რომლებიც დღეს ღირსეულად ემსახურებიან ჩვენს სამშობლოს. ამ სკოლაში მოღვაწობდნენ უდიდესი პედაგოგები, სკოლა მართლაც გამორჩეული იყო.

ძნელი სათქმელია, თუ როგორ უნდა დაუბრუნდეს ძველი დიდება სკოლას, უბრალოდ, ყველას მინდა კიდევ ერთხელ ვთხოვო, ვისაც ეს ეხება–მივხედოთ ამ შენობას, სანამ საბოლოოდ არ დანგრეულა. თუ სკოლა (საჯარო) ვერ აღდგება, მცირე კონტიგენტის გამო, შეიძლება ამ უნიკალური შენობის გამოყენება სხვა კუთხით (შეიძლება პროფესიული ან სასულიერო სემინარიის გახსნა).

ხორგა ცნობილი ადამიანების, (პოეტების, მწერლების, მეცნიერების, პოლიტიკოსების თუ სამეურნეო მუშაკების) ოდაბადეა. სოფელში ფუნქციონირებდა ალიო მირცხულავას სახლ-მუზეუმი, ამჟამად ის ფუნქციადაკარგულია. რას ფიქრობთ და რას გვეტყოდით მასზე?

–დიახ, ხორგა გამოჩენილი ადამიანების ოდაბადეა. ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში არათუ სოფელი, ქალაქიც კი, რომელმაც გამოზარდა ორი პოეტი-აკადემიკოსი, საქართველოს ცკ პირველი მდივანი, დრამატურგები, მეცნიერები. ეს ხალხი ჩვენი სიამაყეა, რაც შეეხება გამოჩენილი პოეტის ა. მირცხულავას სახლ-მუზეუმს, მას სჭირდება კაპიტალური რემონტი, რაც გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული. ჯერჯერობით სპონსორი ვერ ვიშოვეთ.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, მის აღდგენაზე ყველასთვის ცნობილი, ყოფილი ხორგელი ქალბატონი, მერი აბრამია იბრძვის, სხვებთან ერთად. როგორია თქვენი როლი ამ საქმეში?

–დიახ, მის აღდგენაზე მართლაც იბრძვის ქალბატონი (თანაც ხორგელი, ოღონდ არა „ყოფილი“) მერი აბრამია, რისთვისაც მინდა მას დიდი მადლობა გადავუხადო. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, მის შეკეთებას სჭირდება გარკვეული თანხა. მე მინდოდა და დღესაც სურვილი მაქვს ა. მირცხულავას სახლ-მუზეუმში პარალელურად ხდებოდეს ახალგაზრდების თავშეყრა, სადაც გაიმართება თუნდაც პოეზიის საღამოები, ახალგაზრდები ერთმანეთს გაუზიარებენ შეხედულებებს, ერთმანეთს უფრო დაუახლოვდებიან...

რას გვეტყოდით სოფლად მცხოვრებ ბენეფიციარ ადამიანებზე, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებიან, დევნილებზე, ინვალიდებზე. არიან თუ არა მათი ოჯახები თქვენი ზედამხედველობის ქვეშ?

–სოფელში, როგორც ყველგან მუნიციპალიტეტში, არიან დევნილები, ინვალიდები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანები. სამწუხაროდ, ბევრ ოჯახს მოუხსნეს უმწეოთათვის განკუთვნილი დახმარება (ჩემი შეხედულებით არასამართლიანად), ეს ხომ მათთვის ერთადერთი საარსებო წყარო იყო. მიუხედავად ჩემი მცდელობისა და შუამდგომლობისა გარკვეულ ინსტანციებთან, ეს პრობლემა მაინც პრობლემად რჩება. რა თქმა უნდა, ჩვენ ასეთ ხალხთან სახლში დავდივართ, ყოველნაირად ვცდილობთ მათ შევუმსუბუქოთ მძიმე რეალობა.

ბატონო კობა, როგორ შეგიძლიათ შეაფასოთ თქვენი ცხოვრების ახლანდელი ეტაპი?

–ვიყო გამგებლის წარმომადგენელი ჩემს სოფელში ეს ჩემთვის დიდი პატივია, ისევე როგორც „ხორგელობა“, რაც ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს. სოფელს ყავს ღირსეული დეპუტატი–როსტევან გვარამია, წამყვანი სპეციალისტი, საკმაოდ გამოცდილი და ნიჭიერი ახალგაზრდა ნონა ბერაია. ჩვენ, ყველას შესისხლხორცებული გვაქვს ჩვენი ხალხის ჭირ-ვარამი და ყოველნაირად ვცდილობთ ვიყოთ მოსახლეობის გვერდით, ვემსახუროთ ჩვენს ხალხს.

ესაუბრა
ნანი კილასონია.

რუბრიკას უძღვება მანანა შულაია.

„დედაენა“

„ქართული ენაშია ჩვენი ქართველობა“

მშობლიური, ანუ დედა-ენა ის ენაა, რომელზედაც ჩვეულებრივ, ენას ვიდგამთ; დედა ენა ადამიანისთვის ყველაზე მახლობელი, ყველაზე გასაგები, ყველაზე ბუნებრივი და ამ აზრით, ყველაზე უყეთესი ენაა, იგი თვით ჩემი ბუნებაა, სიმბოლო და ნიშანია ჩემი ერისა. დედა-ენის სიცოცხლე ჩემი ერის სიცოცხლეს ასახიერებს.

ქართული ენა არის საქართველოს სახელმწიფო ენა, რაც ყველაფერთან ერთად ნიშნავს, რომ ნებისმიერი არაქართველი ვალდებულია ეცადოს მის შესწავლას, თუ იგი საქართველოს მოქალაქეა.

ისტორიული ქარტეხილების ფონზე ძველი სამყაროს უმრავლესი ენა გადაშენდა, ან დაკნინდა და გაღარიბდა, ქართული ენა კი–დღეს მსოფლიოს ცივილიზებულ ენათა რიგში დგას. ქართული ენა არის „მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული და ცოცხალი სამწერლობო ენა“.

ქართველმა ხალხმა თავისი ენის მიმართ ცნობიერი დამოკიდებულება სამარადისოდ აღბეჭდა, როცა მშობლიურ ენას „დედაენა“ უწოდა. ეს მაგალითი, ენისა და დედის იდენტიფიკაცია ქართველი ხალხის მეტაფორული აზროვნების სანიმუშო მაგალითია. მაგალითისთვის, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ვკუთხულობთ:

„რა ვეღარ მიჰხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამცირობა“

ისტორიამ გვასწავლა: ერთიანობის პირველი შემწე ენის ერთობაა. ამაზე ზრუნავდნენ წარმართი მეფე, ამისთვის ირჯებოდნენ ქრისტიანი მეფეები.

დღეს, როდესაც მიმდინარეობს ქართული ენის გაბინძურება და უცხო სიტყვების დამკვიდრება, დედაენაზე ზრუნვა თითოეული მოქალაქის მოვალეობა უნდა გახდეს. ამ საქმეში მასწავლებლებს, ინტელიგენციას, ხელისუფლებას მაინც განსაკუთრებული მისია აკისრიათ. რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ გვასწავლიან და როგორ ასწავლიან მშობლიურ ენას.

გაზეთის დღევანდელ ნომერში, ქართულ ენაზე სასაუბროდ პედაგოგებს რამდენიმე კითხვით მივმართეთ

1 გთხოვთ ორიოდე სიტყვით გაიხსენოთ თქვენი დედა-ენის მასწავლებელი...

2. რომელ კლასებს ასწავლიდით და ასწავლით ამჟამად სკოლაში? როგორ შეაფასებდით ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკას, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში?

3. იხვეწება თუ არა „დედა-ენის“ სახელმძღვანელო, რა პრინციპები განსაზღვრავენ მის ცვლილებას?

4. არსებობს თუ არა კავშირი დაწყებითი კლასების ქართულ ენასა და შემდგომი (მაღალი) კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს შორის, რამდენად ორგანული და ბუნებრივია ერთიდან მეორეზე გადასვლა?

5. საიდუმლო არ გახლავთ, რომ ხელწერა-კალიგრაფია მთელ თაობებს გაუფუჭდა. ტენდენცია არასახარბიელოა–შვილები მამებზე უფრო ცუდად წერენ, მამები–პაპებზე უარესად და ა.შ. რა არის ამის მიზეზი, გამოსავალს სად ხედავთ?

6. რამდენად დასაშვებად მიაჩნიათ სწავლების ერთიან სისტემაში, რამდენიმე ალტერნატიული სახელმძღვანელოს ფუნქციონირება.

7. წინათ რუსული ენა გვეძალებოდა, ახლა ინგლისურმა ლექსიკამ ლამის წაგვლეკოს, თქვენ რას იტყვით?

8. როგორ ვებრძოლოთ ენის გაბინძურებას, თქვენი აზრი მაინტერესებს.

9. პრობლემები, რომელიც თან ახლავს მშობლიური ენის სწავლებას.

10. თქვენი საყვარელი სტრიქონები დედა ენაზე.

როგნედა ქარდავა–შუა ხორგის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

1. დედაენის პირველი მასწავლებელი, ქალბატონი გოგუცა ანჯაფარიძე, თბილი, ბავშვების მოყვარული და თავისი საქმის პროფესიონალი იყო. არასოდეს დამავიწყდება ჩემი სკოლაში მისვლა და მისი თბილი შეხვედრა, პირველი გაკვეთილი, ხმის თბილი ტემბრი და ლექსი, რომელიც მან გვასწავლა ახლაც ჩამესმის ყურში ,,ველზე ია ამოვიდა...“

2. ადრე ვასწავლიდი მაღალ კლასებში ქართულ ენასა და ლიტერატურას, ამჟამად ვასწავლი დაწყებით კლასებში, მყავს მეორე კლასი. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა ბოლო პერიოდში იხვეწება და უმჯობესდება, გამსაკუთრებით გამოვყოფდი სწავლების დაბალანსებულ მიდგომას და კითხვის სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს.

3. დროთა განმავლობაში უმჯობესდება დედა ენის სახელმძღვანელო, არის არჩევანის საშუალება,ცვლილება ძირითადად ეხება სწავლების მიდგომებს.

4. დაწყებითი კლასებისა და მაღალი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოზე გადასვლა შესაძლებელია ბუნებრივად და ორგანულად, თუ ავირჩევთ ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე ავტორის სახელმძღვანელოს.

5. ჩემი აზრით, კალიგრაფიის გაფუჭება გამოიწვია წერისადმი, განსაკუთრებით კალიგრაფიული წერისადმი, ნაკლები დროის დათმობამ, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების დამკვიდრებამ.

6. კარგია, როდესაც არჩევანის საშუალება არსებობს.

7. ქართველებმა ყველაფერი ვიცით უზომო, საჭიროა ზომიერება.ჩემი აზრით, პირველი კლასიდან უცხო ენის სწავლების შემოღება არ მიმაჩნია სწორად.

8. მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ქვეყანამ, სახელმწიფოებრივ დონეზე ქართული ენის სიწმინდის დაცვას.

9. მშობლიური ენის სწავლებისათვის ჩემის აზრით პრობლემურია დროის სიმცირე, კითხვის, წერის, მეტყველების, აზროვნების სწავლებას უნდა დაეთმოს მეტი საგაკვეთილო დრო.

10. „დღეს მისი ბედი ჰკიდია ჩვენზე
ლარი და ხაზი ამას რად უნდა,
ჩვენ უნდა შევძლოთ და კიდევ შევძლებთ
კვლავ იძლიეროს ენამ ქართულმა“.

ანა ონიანი–ახალი ხიბულის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

1. ჭკვიანი, აუჩქარებელი, დადებითი ემოციებით აღსავსე ქალბატონი ხათუნა ხუჭუა, როგორც ცისკრის ვარსკვლავი, ისე ახსოვს ჩემს ბავშობას, კაშკაშებს და ბრწყინავს ჩემს მეხსიერებაში...

2. ამჟამად ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას VIII კლასში.

3. დედაენის სახელმძღვანელო იხვეწება და გამოირჩევა საინტერესო მასალებით, თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებით, დაწერილია კარგი ქართულით, შემოთავაზებულია საინტერესო აქტივობები. სახელმძღვანელო შესრულებულია მაღალკვალიფიციურად და სავსებით შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

4. დაწყებითი კლასების ქართულ ენასა და მაღალი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს შორის მჭიდრო კავშირია, თითოეული მათგანი ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს.

5. ხელწერა კალიგრაფიის გაფუჭების მიზეზი ერთია, წერას არ ეთმობა სათანადო დრო, კალიგრაფიის სწავლებას წინათ უფრო ექცეოდა ყურადღება ვიდრე დღეს.

6. ძირითადი სახელმძღვანელო უნდა იყოს ერთი, ხოლო დამატებით თუ იქნება სხვა სახელმძღვანელო ბავშვებისთვის შემოთავაზებული კარგი იქნება.

7. უცხო ენის სწავლება ნამდვილად სასიამოვნო და სასურველია, რაც მეტი ენა იცი იმდენი კაცი ხარო ნათქვამია, მაგრამ მეტი ყურადღება უნდა ეთმობოდეს ქართული ენის სწავლების პოპულარიზაციას.

„ენა ცოცხალი ორგანიზმია“, რომელიც საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება და ზედმეტი სიტყვებით ივსება. ძალიან ბუნებრივია, როცა ნებისმიერი ახალი საგნისა თუ მოვლენის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაბამისი სიტყვის დამკვიდრებაა საჭირო.

8. მომავალ თაობას ვესაუბროთ სუფთა, გამართული ქართულით, ვესაუბროთ მის ღირსებაზე, სიძველესა და უნიკალურობაზე. ენაში სიახლის შემოტანა გამართლებულია. საზოგადოება დროსა და სივრცეში იცვლება და სამეტყველო ენაც მასთან ერთად უნდა შეიცვალოს. მაგრამ განვითარება არ ამართლებს არსებულის უარყოფას, როდესაც ენაში არსებული სიტყვის მაგივრად უცხოურიდან შემოსული ანალოგი მკვიდრდება, გაუმართლებელია.

9. ყველაზე დიდი პრობლემებია მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების კუთხით. ქართველთა უმრავლესობა სიამაყით იტყვის, რომ მას თავისი სამშობლო უყვარს, თუმცა ცოტა თუ აცნობიერებს საკუთარ მოვალეობას სამშობლოს წინაშე. ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ სამშობლოს სიყვარული მხოლოდ მასზე სიამაყით საუბარი არაა. მთავარი სწორედ მის მომავალსა და განვითარებაზე ზრუნვაა, ეს კი საკმაოდ ბევრ კომპონენტს მოიცავს. ენაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომლის შენარჩუნებაც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების წინაპირობაა.

10. ჩემი საყვარელი სტრიქონებია „ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალფეროვანი, როგორც არის ბუნება კავკასიონისა, დედაენა არის ენა სულისა და გულისა, დედაბოძი ჭეშმარიტი განათლებისა“. (ი. გოგებაშვილი).

„დედაენა“

„ქართული ენაშია ჩვენი ქართველობა“

რუბრიკას უძღვება მანანა შულაია.

მანანა მეტრეველი–ტურავა თორსის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების სერთიფიცირებული პედაგოგი.

1. დედაენის მასწავლებელი... სონია მასწავლებელი, რომელზეც სამართლიანად ითქმებოდა–„მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“. მის ხსენებაზე ჩემს წარმოსახვაში წარმომიდგება გულთბილი, სიყვარულით აღსავსე ღიმილიანი სახე, დედა-შვილური მზრუნველობა, დამრიგებლური დამოკიდებულება...

გაკვეთილზე ვისხედით ლამაზად და სწორად, ხელის აწევით ვპასუხობდით, უყვარდა წესრიგი, უმრავლესობა კარგად ვსწავლობდით... პატარები ვაკვირდებოდით, ვბაძავდით ყველაფერში–წერაში, კითხვაში, მეტყველებაში... კოლეგებთან ერთად ხელმკლავით დადიოდა... სკოლაშიც და შემდეგაც, მეც დღემდე მიყვარს ხელმკლავით სიარული.

თამამად შემიძლიაა ვთქვა, რომ სწორედ სონია მასწავლებლმა და შემდეგში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მაზიარა ქართული სიტყვის მადლს, მათ შემაყვარეს „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“...

არ დამავიწყდება ის სიხარული და აღტაცება, სკოლის დამთავრებიდან 20-25 წლის შემდეგ შეხვედრით განცდილი...

2. ვასწავლიდი და ვასწავლი დაწყებით კლასებს. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკას მთლიანობაში დადებითად შევაფასებდი. განსაკუთრებით მომწონს კითხვისა და წერის სწავლების თანხვედრა (კოლეგები კი თვლიან, რომ გრამატიკა გამოცალკავებით ისწავლებოდეს). ცხადია, ჩემი მტკიცება არ სჭირდება, რომ მშობლიური ენა, როგორც სასკოლო დისციპლინა, ზოგადი განათლების ღერძს წარმოადგენს. სრულფასოვანი ენობრივი განვითარება, სამეტყველო უნარების სრულყოფა, რეფლექსიისა და თვითრეფლექსიის უნარების განვითარება–ყველაფერი ეს მოზარდის პიროვნებად ფორმირების საფუძველია.

მინდა გითხრათ, რომ თორსის საჯარო სკოლა იმ ხუთასამდე სკოლათა რიცხვშია, ვინც ,,G-PRIED“- ის, დაწყებითი კლასების განათლების პროექტშია ჩართული. პროექტი სამინისტროს მიერაა მოწონებული და ითვალისწინებს გაწაფული კითხვისა და წერის ტექნიკის სრულყოფას დაბალანსებული, ინტეგრირებული და დიფერენცირებული სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, უამრავი აქტივობებითა და სარესურსო მასალებით.

პროექტში ჩართულობამ გაზარდა კოლეგებს შორის თანამშრომლობის, გამოცდილების გაზიარებისა თუ დიალოგის ხარისხი, მოსწავლეებიც გაცილებით ხალისით სწავლობენ.

3. „დედაენის“ სახელმძღვანელო იხვეწება. ცვლილებები ხორციელდება დღევანდელობის მოთხოვნების გათვალისწინებით, თუმცა მთლიანად შენარჩუნებულია იაკობ გოგებაშვილისეული ძირითადი ხაზი.

სხვათაშორის, მინდა გითხრათ, რომ დედაენის სახელწოდება სხვადასხვა ავტორის წიგნზე სხვადასხვაგვარია, მაგ: „დედაენა“, „დედა ენა“. არა და, ბოლო წლებში დამკვიდრდა, რომ „დედაენა“ ისევე უნდა იწერებოდეს, როგორც „დედამიწა“, „დედაბოძი“, დედაკაცი“ და სხვა.

4. ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს შორის კავშირი დაწყებითი კლასებიდან მაღალი კლასებში უწყვეტად ხორციელდება. მასწავლებლებმა შევაჯერეთ აზრი იმ საკითხში, რომ ჩვენს მიერ შერჩეული ავტორისეული სახელმძღვანელოებით ვასწავლოთ დაწყებითშიც და ზემდგომ კლასებშიც.

5. ყოველი ინოვაციის განხორციელება ნაბიჯ-ნაბიჯ, სიფრთხილით, დაკვირვებითა და მუდმივი მონიტორინგით უნდა მიმდინარეობდეს. კომპიუტერიზაციის სწრაფ განვითარებასთან ერთად მთელს საგანმანათლებლო სივრცეს ელვისებურად მოედო-თითქოს კარგი კალიგრაფიის საჭიროება აღარ იარსებებს, რომ ხელით წერას შეცვლის ბეჭდვითი სისტემა. და მართლაც, ასე მოხდა–... ამ არასწორმა მიდგომამ მიგვიყვანა სწორედ არასახარბიელო შედეგამდე.

არადა, თითოეულ ასო-ბგერას უნდა ველაციცებოდეთ, პატარებს უნდა დავანახოთ ქართული ასო-ბგერების სილამაზე, შნო და ლაზათი, უნდა შევაყვაროთ ანბანი. საჭიროა აღვადგინოთ ბადედახაზული და უჯრედებიანი დაფაც. მეორე ხარისხოვნად იქცა გადაბმით წერაც,–ეს საკითხიც გადასაწყვეტია.

უნდა მოხდეს კალიგრაფიის პოპულარიზაცია და დაისახოს მრავალფეროვანი აქტივობები და კონკურსები, როგორც შიდა სასკოლო, ასევე მთელი ქვეყნის მაშტაბით. გაკვეთილზე ხშირად უნდა გამოვიყენოთ წერითი აქტივობები ისე, რომ შეფასების კოეფიციენტი კალიგრაფიაზე მოდიოდეს.

ყოველი წლის 14 აპრილს სკოლა განსაკუთრებით აღნიშნავს დედაენის დღეს სხვადასხვა აქტივობებით–იქნება ეს მხატვრული კითხვის კონკურსი,ასფალტზე ხატვა თუ ფლეშმობი.

6. ჩემი პირადი აზრია, რომ სწავლების ერთიან სისტემაში არსებული რამდენიმე ალტერნატიული სახელმძღვანელო გამოცდილი სპეციალისტების აქტიური ჩართულობით შეიქმნას ერთი საუკეთესო, დანარჩენი კი ხელმისაწვდომი გახდეს, როგორც კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა.

ამავე დროს, „G-PRIED“-იც იძლევა საშუალებას, არ მივეჯაჭვოთ მხოლოდ სახელმძღვანელოს და საჭიროებიდან გამომდინარე გამოვიყენოთ ალტერნატიული ტექსტებიც.

7. როცა ქართულის ენის სიწმინდეზე, ენაში უცხოური სიტყვების შემოსვლაზე და დამკვიდრებაზე გვიხდება საუბარი, ჩვენი სკოლის ფილოლოგი, ლ. დვალიძე, ხშირად, აკაკის სიტყვებს მოიშველიებს ხოლმე: „ერთ ჭიქა წყალში რამდენიმე წვეთი ღვინისა ჩავაწვეთოთ, უთუოდ ფერს უცვლის წყალს, მაგრამ რამდენიმე წვეთი წყალი, რომ ერთ ყანწ ღვინოში ჩავურიოთ, ვერც ფერს დააკარგვინებს და ვერც ძალას“–ო.

ასე, რომ: არცერთი ენის, მათ შორის, რუსულის ან ინგლისურის ჭარბად გამოყენება არ არის სასურველი და მისაღები ისევე, როგორც, ზოგადად, ყველაფერში, აქაც საჭიროა სიფრთხილისა და ზომიერების დაცვა.

8. ენის გაბინძურებისგან თავის დასაღწევად საჭიროა სხვადასხვა აქტივობების დაწესება; ხშირი დისკუსიები, როგორც სკოლაში, აგრეთვე მედიასივრცეში. მაგალითად, ქართული ენის სიწმინდის დასაცავად და ქართული ენისადმი თაყვანისცემის გამოსახატავად ცნობილი ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია, როგორც თვითონ განაცხადა ტელევიზიით, ახორციელებს ინდივიდუალურ აქტივობას-Facebook-ზე მეგობრებში იმატემს მხოლოდ მათ, ვინც ქართულ ენაზე უგზავნის დამეგობრებას.

აი, ამდაგვარი ინდივიდუალური, მრავალფეროვანი აქტივობების მოფიქრება და განხორციელებაა საჭირო შედეგის მისაღწევად.

9. პრობლემები, რომელიც თან ახლავს მშობლიური ენის სწავლებას?

–მოდით, სამეგრელოს რეგიონის მაგალითზე გეტყვით: მეგრელი ბავშვები ქართულს სწავლობენ, როგორც უცხო ენას, თუმცა ლექსიკური მარაგის სიმწირე საზოგადოდაც პრობლემას წარმოადგენს.

ჩვენი მოსწავლეები აზროვნებენ მეგრულად და პირდაპირ თარგმნიან ქათულად, ამიტომ ხშირად უშვებენ სტილისტურ შეცდომებს. უმთავრეს პრობლემად მაინც წიგნიერება რჩება.

10. „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“, „ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა“, „ოქროსხმიან სიმებად გულში ამოხლართული“, „ჩვენს აკვანს შემომჯდარი მგალობელი ფრინველი“, „უჭკნობი გაზაფხული“, „თვალის პირველი ახელა“, „დედაენა სიბრძნის წიგნი“, „მოჩუხჩუხე ცხრა წყარო“, „უამწიგნოდ ვერ აიდგამს ენას ჩვილი ვერც ყმაწვილი ინავარდებს ფრთებგაშლილი, მას ენდე და კვლავ მიანდე შვილთა ბედი, დაილოცოს დედაენის შემოქმედი!“.

ლონარა ყალიჩავა–ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

1. ილია ღვთებრივი საუნჯის სამეულში ერთ-ერთს ენად მიიჩნევდა. მის გვერდით აყენებდა მამულისა და სარწმუნოების ერთგულების აუცილებლობას. ჩვენი ერის ცნობიერებაში ეს თითქმის კოდირებულიცაა და სწორედ ამან გადაგვარჩინა ისტორიულ კატაკლიზმებს, მოგვიყვანა დღემდე.

იაკობის დედაენა ჩვენს სულში პირველ ხნულს ავლებს და ცხოვრების საუკუნო საგზლად მიგვყვება. მე დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ვიხსენებ ჩემს დედაენის მასწავლებელ ბატონ შოთა ყალიჩავას, რომელმაც მთელი ათეული წლების განმავლობაში ერთგულად, უპატიოსნესად, მაღალი პროფესონალიზმით ატარა მოძღვრის ეკლიანი გვირგვინი. ათეული წელი, ათეულჯერ ფრთაგაშლილი ფიქრი და ოცნება, ათეულჯერ მეცნიერების საუფლოში დავანებული ღამეები, ათეულჯერ დაფრთიანებული ახალგაზრდობა, აი, მისი ნამუშაკევი, ნამოღვაწარი, ჯერჯერობით ვერა და ვერ დაფასებული და სახვალიოდ დასაფასებელი და დაფნის გვირგვინით შესამკობი.

2. ყველას ძალიან კარგად მოეხსენება, რომ ქართული ენა და ლიტერატურა სხვა საგანთა სწავლების საფუძველია, ამიტომ ამ საგნის მასწავლებლებს ლიტერატურის სწავლების სწორი მეთოდიკის შერჩევა და სწორად წარმართვა გვმართებს. განათლების სამინისტრო ყოველდღიურად ხვეწავს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკას დაწყებით კლასებში. ამ მხრივ ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლა ჩართულია საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტში G-PRIED.

3. „დედა- ენის“ სახელმძხვანელო დღითიდღე იხვეწება და იცვლება პრინციპები. ამ ცვლილებებს განსაზღვრავს ის, რომ უმთავრესია, დაწყებითი კლასის მოსწავლეები დაეუფლონ გაწაფულ, გამართულ კითხვას, გაგებისა და გააზრების უნარებს.

4. ჩვენს ხელთ არსებული ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები ორგანული და ბუნებრივი გაგრძელებაა დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებისა. რამეთუ ამ კლასებში მიღებული ცოდნა არის მყარი ბალავარი, რომელიც საფუძვლად უნდა დაუდოთ ამ საგნის სწავლებას მაღალ კლასებში. რაც შეეხება ერთიან სისტემაში რამდენიმე არტერნატიული სახელმძღვანელოების არსებობას, მათი ფუნქციონირება დასაშვებად მიმაჩნია, რადგან მასწავლებლებს შეესაძლებლობა გვეძლევა არჩევანის გაკეთებისა და პარალელების გავლებისა.

5. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში წერა-კალიგრაფია ყოველთვის იყო აქილევსის ქუსლი. ვეთანხმებით, რომ ტენდეცია არასახარბიელოა, მიზეზები ბევრია მაღალ კლასებში. ამის მიზეზად მიმაჩნია ტესტური დავალებების შემოღება. რაც შეეხება დაწყებით კლასებს, ლომის წილი ქართული ენის მასწავლებელმა უნდა ჩადონ.

6. რაც შეეხება ერთიან სისტემაში რამდენიმე ალტერნატიული სახელმძღვანელოების არსებობას, მათი ფუნქციონირება დასაშვებად მიმაჩნია, რადგან მასწავლებლებს შეესაძლებლობა გვეძლევა არჩევანის გაკეთებისა და პარალელების გავლებისა.

7. დღეს ზოგიერთი ქართველი დიდი პათოსითა და თავგამოდებით იცავს ქართული ენის სიწმინდეს. დაცვის მეთოდი მხოლოდ ხმამაღალი და პუბლიცისტური განცხადებებით შემოიფარგლება. ენა ყოფიერების ცვლილებების ფორმებს აირეკლავს და არა პოპულისტურ პანიკას . „მცველებს“ მაინცდამაინც ევროპული ენების ზეგავლენა მიაჩნიათ ქართული ენის დამღუპველად. ეს საკითხი მეტად რთულია და დაკვირვებულ შესწავლას მოითხოვს.

8. ენის სიწმინდის დაცვა სასურველიც არის და აუცილებელიც, მაგრამ ეს შესაძლებლობის ფარგლებში მოხდება ალბათ. თუ რომელიმე მოვლენის ან ფაქტის ამღნიშვნელი სიტყვა არსებობს სწორედ ის უნდა იქნეს გამოყენებული და არა უცხოური სიტყვა, მაგრამ შეუძლებელია ქართულ ენას არ დაეტყოს ქართული კულტურისა და ევროპული კულტურის დახლოების პროცესი. ინგლისური ტერმინების გარეშე ქართული ენა ვერ აითვისებს კომპიუტერულ ტექნიკას. ასევე შეუძლებელია მედიცინის, მეცნიერების, ფილოსოფიის დარგებში ევროპულენოვანი ტერმინების თავიდან არიდება.

9.არ არის დასამალი, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში არის ხარვეზები, რომლის მიყურადება არ ეგების, ბავშვებს უჭირთ გამართული, გააზრებული კითხვა,

ადექვატური მსჯელობა. წიგნიერება ძალზე მოიკოჭლებს საქართველოში. პირველი რიგის გადასაწყვეტ პრობლემებს შორის საჭიროა ყურადღება მივაქციოთ ქალაქისა და განსაკუთრებით სოფლის მასწავლებელთათვის ცხოვრების, შრომის, დასვენების სათანადო პირობების შექმნას.

მასწავლებელი სხვაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული არც მატერიალურად და არც მორალურად, თუ გნებავთ, არც იდეოლოგიურად. იგი ანგარიშვალდებული უნდა იყოს მხოლოდ საკუთარი სინდისისა და ერის წინაშე.

მხოლოდ ასეთ ვითარებაში მოეთხოვება მას მოძღვრობა, ერის სულიერი წინამძღოლობა, აკაკისეული გამზრდელის პასუხისმგებლობა. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება იგი ახალგაზრდობისთვის სანიმუშო და მისაბაძი.მხოლოდ ასეთ მოძღვარს გაჰყვება მოზარდი თაობა უყოყმანოდ, დანდობილად.

10. ჩემი საყვარელი სტრიქონი დედა ენაზე

„ქართული მარტო ენაა?!
ქართული, ქართველთ რწმენაა,
ღმერთია, ბედისწერაა.
ზღვა როა, იმოდენაა...“

წარმატებული მოსწავლეები

***ანრი შენგელია** 15 წლისაა, ცხოვრობს ხობში, სწავლობს №1 საჯარო სკოლის მე-9 კლასში, არის წარმატებული მოსწავლე, მონაწილეობას ღებულობს სასკოლო პროექტებში, თავისუფალ დროს კითხულობს წიგნებს და ათვალიერებს სიახლეებს სოციალურ ქსელში. ცდილობს ურთიერთობა დაამყაროს სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან, რათა განავითაროს ინგლისურის ცოდნა და კომუნიკაბელური გახდეს საზოგადოების მიმართ. როგორც თავად ამბობს: „გარკვეულწილად ვარ კოლექციონერი საქართველოს ნაკრების მიერ ჩატარებულ თამაშთა ბილეთებით.“*

„წარმატება პირდაპირ კავშირშია შრომასთან, შრომით ყველაფერი მიიღწევა...“

რაში მდგომარეობს თქვენი წარმატება?

–ყოველგვარი წარმატება პირდაპირ კავშირშია შრომასთან, შრომით ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი. მშრომელი ადამიანი წიგნთან თუ მიწასთან უფრო მეტს მოიმკის, ვიდრე ზარმაცი და უწიგნური. მთავარია, დავისახოთ მიზანი, განვითარდეთ სასიკეთოდ და შევძლოთ გამოვხატოთ ის, რაც ჩვენს გულს სურს, დავამსხვრიოთ სტერეოტიპები ზომიერების ფარგლებში.

როგორც ვიცი, თქვენ სხვადასხვა პროექტებში საკმაოდ წარმატებული მოსწავლე ხართ, უფრო ვრცლად მიმიყვეით ამის შესახებ!?

–ჩემი აზრით ყველა მოსწავლე წარმატებულია გარკვეული დოზით, განსხვავებაა სხვადასხვა დარგში,ზოგიერთი სპორტით გვევლინება ასპარეზზე, ცალკეულნი ოლიმპიადების გამარჯვებულნი არიან, რაც შემეხება მე, უდიდეს წარმატებად მიმაჩნია ის სატელევიზიო ტრიუმფი სახელად „ექიმები“, რომელიც არათუ დავიწყებას მიეცემა, არამედ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდად ჩაითვლება ჩემს ცხოვრებაში. მინდა თქვენით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო ხობის №1 საჯარო სკოლის დირექციას, განსაკუთრებით ბიოლოგიის პედაგოგს თამილა გერგაიას.

2015 წელი წარმატებულია პირველი სკოლისთვის. ერთგვარად ნავსი გავტეხეთ და სარეიტინგო ცხრილში მეორე ადგილი დავიკავეთ ხობის მასშტაბით. მიხარია, რომ მეც ამ წარმატების ნაწილი ვიყავი დანარჩენ 5 წევრთან ერთად.

წიგნი თუ კომპიუტერი?

–ზომიერად წიგნიც და კომპიუტერიც, დაუშვებელია 21-ე საუკუნეებში მათი გამიჯვნა, ვინაიდან ისინი ნაწილნი არიან ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების.

გიყვართ კითხვა და რა სახის ნაწარმოებებს კითხულობთ?

–შესაძლოა კარგი მკითხველი ვარ. ვკითხულობ განურჩევლად ყველა ჟანრის წიგნს, მთავარია წიგნის შინაარსი, მთხრობლის ენა, ავტორი და წიგნზე დადებული „ბოქლომი“, რომლის გაღებაც კულმინაციისას უნდა შევძლო. ბოლო დროს დეტექტიურმა ჟანრმა ჩამითრია და საგრძნობლად განავითარა ჩემი შეხედულება და დამოკიდებულება წიგნთან მიმართებაში.

საყვარელი მწერალი?

–უცხოელ მწერალთა შორის ალბათ სკოთ ფიცჯერალდი და მისი უკვდავი მოთხრობა „დიდი გეტსბი“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელ მსოფლიოში, რაც შეეხება ქართველ თანამედროვე მწერლებს ,უპირატესობას ვანიჭებ დათო ტურაშვილს, არამარტო მოთხრობა“ „ჯინსების თაობას“, არამედ მის მთლიან შემოქმედებას.

წარმატება არის თუ არა მასწავლებლის დამსახურება?

–ვისთვის როგორ. პირადად ჩემი მაგალითით მცირედი წარმატება პირველი არხის ტელე-სივრცეში.კერძოდ „წიგნების თაროში“ პირდაპირ კავშირშია წიგნთან სიახლოვესთან და იმ გამაოგნებელ ფენომენთან, რომელსაც მასწავლებელი ჰქვია. ქართულის პედაგოგის ზაირა ცხადაიას დაუღალავი შრომის შემდგომ და ჩემი ძალისხმევითურთ მე ალბათ გემოვნებიან მკითხველად ჩამოვყალიბდი.

გთავაზობთ პროექტ „წიგნის თაროში“ გამოქვეყნებულ ჩანაწერს

–„თოფის ხმა გაისმა, ჩემი ხორცი თუ ყური მიეჩვია იმ სულისშემძვრელ ხმას, რომელიც კაცის სიკვდილს მოასწავებდა.

ძნელია იცხოვრო შიშის ქვეშ, გეშინოდეს სიკვდილის, რომელიც თან გსდევს, მაგრამ ძნელად მოსასვლელ გზას, გამოდის შენამდე. ცხოვრება არ არის ადვილი, ძნელია ტანკის გვერდით სიცოცხლე, ყოფა იმ საგნის გვერდით, რომელიც შეიძლება გახდეს ცხოვრების დასასრული, სიკვდილის მიზეზი. რამდენჯერაც მინატრია წერტილის დასმა ყოველივეზე (თავის მოკვლა) თითქოს ბოლო წამს ხელ-ფეხი მეკვრებოდა და თავს ვეუბნებოდი, შევძახოდი „ეს შეიძლება არ იყოს სასიკეთო შენი სულისთვის“ ამ წუთისოფელზე ფასეული რაღაცისთვის ვიღწვი, რისთვის? სუფთა სულისთვის და კაცობისთვის.

მიხარია მზიანი დღის გათენება, შემზარავია რუხ ფერთა დომინირება ცაზე. ეს ფერი ცუდ განცდებთან არის დაკავშირებული ჩემთვის: ტირილთან, გოდებასთან, ახლობლის დაკარგვასთან.

ჩემი ცხოვრება. ქვიშის საათს ჰგავს, რომელიც ადრე თუ გვიან დაიცლება და უკუნს მიეცემა. რთულია ომში გამარჯვება გიხაროდეს, ომში, სადაც არ იბრძვი ერთი ფეხისადგამო. განსხვავებით მარცხენა ფეხისა, რომელიც არ მაქვს, მარჯვენას სურს გადაადგილება მზიან თუ წვიმიან ამინდში. როდესაც ასე ახლოა სიკვდილი, მაგონდება დედა, რომელიც დიდ მონდომებას დებდა ჩემს მომავალში, მამა, რომელიც წარმოსახვაში კარგ ადამიანად მესახებოდა. პირველი სიყვარული, მოპარული ვაშლის გემო, რომელიც არ მიეცემა დავიწყებას მსგავსად დედის პირველი კოცნისა და წიგნის პირველი გადაშლილი ფურცლის სუნისა, რომელიც ტკბილ მომავალს მიქადდა.

თოფის ხმა გაისმა, ჩემმა ხორცმა შეიგრძნო ის უცნაური ტკივილი. სიკვდილის ტყვია უდარდელად მოემართებოდა ჩემამდე და წყვეტდა იმ ფასეულ და ტკბილ ნექტარს, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია. ბოლოჯერ დავინახე მზიანი დღე, რომელიც უკვე მზად იყო რუხი ფერისთვის დაეთმო ცა...“

ხობის სილამაზე მის უბრალოებაშია...

რედაქციაში ხობის №1 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე გოდერძი გაბელია მესტუმრა და ინტერნეტში განთავსებული საინტერესო ბლოგის შესახებ მიამბო, სახელწოდებით „KHOBI PROBLEMS“, დამაინტერესა და გადავხედე, მე-9 კლასის მოსწავლე ბლოგის მეშვეობით პროექტზე გვესაუბრებოდა, რომელიც საინტერესო ინიციატივას წარმოადგენს და დაკავშირებულია ჩვენი ქალაქის განვითარებასთან. მავანს იქნებ ზედმეტად მოეჩვენოს ამ მოსწავლის ბლოგი და მისი ხედვა, ან გაიფიქროს, რა ბავშვის საქმეაო. თუ მკითხველთა შორის ასეთები აღმოჩნდებით, მინდა გითხართ, მომავალი თაობები ქმნიან ხობის მომავალს, წარმატებული და ჭკვიანი მოსწავლეების აზრი და ხედვა, მათთან შეხვედრები ვფიქრობ, საინტერესოცაა და აუცილებელიც. გოდერძის და მის თანატოლებს სურთ ხობი უფრო ლამაზი და არსებული პრობლემების გარეშე იხილონ, ამაში დასაძრახი არც არაფერია, ხობი ხომ მათი მომავალია.

გოდერძი, რამ გიბიძგა პროექტზე მუშაობისთვის?

–ყველაზე მეტად მსურდა ის ცოდნა, რაც დავაგროვე, მედია წიგნიერების დარგში გამომეყენებინა ჩემი ქალაქისთვის სასარგებლოდ. ასევე, ამას დავუმატე ხობის ყველაზე თვალსაჩინო“ პრობლემები, დავურთე მათ მცირე ინფორმაცია მათივე გადაჭრის გზებზე და მივიღე პროექტი სახელად: ,,khobi problems“

მიზანი:

პროექტი ,,KHOBI PROBLEMS“ წარმოადგენს საინტერესო ინიციატივას, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი ქალაქის განვითარებასთან. ჩვენ ვიძიებთ პრობლემებს ქალაქ ხობის მასშტაბით, ამავდროულად მათთან დაკავშირებულ „ახალ იდეებს“ ვუსადაგებთ მათ. სიტყვა პრობლემაში ვგულისხმობთ მარტივ ინფრასტრუქტურულ ნაკლებს. ამ თემის მიმართ ჩვენი დაინტერესება გამოწვეულია, ჩვენი შეხედულებით თუ როგორი უნდა იყოს ხობი. ვფიქრობთ, რომ ჩვენს ქალაქს გაალამაზებს არა ფეშენებელური პროექტები, არამედ მოწესრიგებული გარემო.

როგორ ფიქრობ, პრობლემები ამ გზით მოგვარდება?

–ვერავინ შეძლებს გახადოს წარმატებული ის პროექტი, რომელიც ბუზღუნა ბავშვივით ხელს იწვდის და მიუთითებს პრობლემაზე. აუცილებლად ვაპირებთ თანამშრომლობას სხვა მსგავს გაერთიანებებთან. ასევე გვაქვს ჩვენი ხედვა და მაქსიმალურად ვეცდებით შედეგს მივაღწიოთ.

ძირითადად მაინც რა პრობლემები გაღელვებთ და როგორია თქვენი და თქვენი თანატოლების აზრი მის გადაჭრასთან დაკავშირებით...

–ყურადღებას ვაქცევთ იმ ფაქტს, რომ ხობის სილამაზე მის უბრალოებაშია და არა რაიმე გამორჩეულ და ერთ შენობაში. ვფიქრობ, რომ ქალაქის აღმავლობისთვის საჭიროა კარგი საფუძველი და ეს საფუძველი ქალაქის კეთილმოწყობაა. ის ქალაქი, რომელსაც არა აქვს დიდი ეკონომიკური დატვირთვა, არ გამოირჩევა საქართველოს სხვა ქალაქებისგან დიდი მოსახლეობით, უნდა ხიბლავდეს და იქცევდეს ყურადღებას თავისი უბრალოებით. უბრალო ხობი ნიშნავს იმ ქალაქს, რომელსაც არ აწუხებს: ორმოები, ქუჩებში პატარა ,,ოაზისები“ ზაფხულის მცხუნვარე მზის ქვეშ. არც დანაგვიანებული გარემოა სასურველი და არც დანგრეული ინფრასტრუქტურა მოხიბლავს აქ გამვლელ მგზავრს. ახლა კი გთხოვთ, ცოტახნით დახუჭოთ თვალები და წარმოიდგინოთ ხობი ყოველივე ამ პრობლემის გარეშე. ნუ მიაქცევთ მხოლოდ დიდ შენობებს ყურადღებას, რადგანაც 100 სართულიანი ცათამბჯენის ფონზე ხობის ნაკლი უფრო მძაფრად მოგხვდებათ თვალში. საინტერესო კი ის არის, რომ მოწესრიგებული ქალაქის ხილვა ჩვენში დიდ კმაყოფილებას გამოიწვევს და დავიბრუნებთ იმ პოზიტივს, რომელიც ყოველივე ავმა წაგვართვა.

მომავალი თაობა უნდა წყვეტდეს თუ არა ამგვარ პრობლემებს?

–ჩვენ აფექტური სიტუაციებით ვცოცხლობთ, თითქოს ვულკანი ვართ, რომელიც ამოფეთქავს, გააოცებს მსოფლიოს თავისი ქმედებით, მაგრამ კვლავ მივიძინებთ და მიღწეულს ვანადგურებთ. თუმცა ძალიან ნაკლები შანსია ასეთი მოქმედებით საქართველომ ჰპოვოს თავისი გზა და ადგილი მსოფლიო ასპარეზზე. აუცილებელია გამოვნახოთ სწორი და სტაბილური გზა განვითარებული სახელმწიფოებრიობისკენ. ეს ყოველივე დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ენერგიას, რომელიც მხოლოდ ახალგაზრდულ სულში თუ მოიძებნება და ჩვენ მოვახერხებთ საქართველოს გარდაქმნას. ამხელა მიზნების განხორციელება მარტივი საქმე არაა. არც ასეთი დასაწყისი მოასწავებს ტრიუმფს, მაგრამ ყოველივეს მცირე დასაწყისი აქვს. დაე შეეწიროს ჩვენი ძალისხმევა ამ საქმეს.

ბლოგში არიან გაწევრიანებული თქვენი თანატოლები?

–ჩვენ არ გვყავს პირდაპირი სამიზნე აუდიტორია, ანუ ჩვენი იდეები ეხება ყველას, ვისაც უყვარს თავისი ქვეყანა და აფასებს ერთობის ძალას. ამ ყოველივეს ჩვენ წარმოგიდგენთ თანამედროვე ტექნოლოგიებით: ბლოგი, ფორუმი, ვიდეოები და ანიმაციები. ამ მშვიდობიანი გზებით ვცდილობთ, რომ მივიპყროთ საზოგადოების ყურადღება და აღვძრათ ნათელი მომავლისკენ სწრაფის სურვილი.

გვერდი მოამზადა ნინო გერგაიამ

„წარმატებას წარსულისა და მომავლისადმი პასუხისმგებლობა იძლევა“

სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლა სოფლის ცენტრშია განთავსებული. ინფორმაცია მისი დაარსების ზუსტი თარიღის შესახებ, ჩვენთვის ცნობილი არ არის, თუმცა მოპოვებული მასალების თანახმად, იგი 1863 წელს უკვე ფიქსირდება ისტორიულ წყაროებში. თავდაპირველად სოფელ ხეთაში ერთწლიანი სასწავლებელი ყოფილა, რომელიც შემდეგ 1872 წელს გადაუკეთებიათ ორკლასიან სამრევლო სასწავლებლად. 1895 წელს ამ სკოლის ბაზაზე დაუარსებიათ ოთხწლიანი ქალთა სასწავლებელი, რომლის გამგე-მასწავლებელი ნინო ანთელავა ყოფილა. 1904-17 წლებში ეს სკოლა გაფართოვდა და ჩვეულებრივ სკოლად გადაკეთდა.

1945-58 წლებში ხეთის სკოლაში რვაწლიანი სწავლება იყო, ხოლო 1958 წლიდან გადაკეთდა საშუალო სკოლად. მისი დირექტორი იყო–ნადია კაცია, შემდეგ სხვადასხვა წლებში სკოლას ხელმძღვანელობდნენ აპოლონ მგალობლიშვილი, ვალერიან იოსავა, ნათელა მაკალათია, კარლო ბუკია, ლალი გადელია, ხარიტონ გადელია, თინათინ ჩიჩუა, ნანა ზანთარაია.

ხეთის საშუალო სკოლის აღზრდილები არიან ისეთი გამოჩენილი ადამიანები, როგორებიც იყვნენ–თედო სახოკია, იპოლიტე ვართაგავა, ესტატე შუშანია.

დღესაც ხეთის საჯარო სკოლა ღირსეულად აგრძელებს ღვაწლმოსილი წინაპრების ტრადიციებს. ამჟამად სკოლას ემსახურება 35 პედაგოგი, 9 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. პედაგოგთა უმრავლესობას გავლილი აქვს სასერთიფიკაციო გამოცდა და მაღალი კვალიფიკაციით, დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით განაგრძობენ მომავალი თაობების აღზრდის საქმეს.

დღეის მდგომარეობით სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტი შეადგენს 286 მოსწავლეს, მათ შორის სამი სსსმ მოსწავლეა. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ შემეცნებით თუ სპორტულ ღონისძიებებში და წარმატებებსაც აღწევენ. კერძოდ. გასულ სასწავლო წელს რვა მოსწავლემ: აკაკი ხუნწარიამ, ია კანკიამ, ლიკა ლატარიამ, ანა გვაჯაიამ ოქროს, ხოლო დალილა ლატარიამ, ანი ჯობავამ, მედეა ლატარიამ და მედეა პაპავამ ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. სკოლის ოცი კურსდამთავრებულიდან სტუდენტი გახდა 12, მათ შორის სამმა გრანტი მოიპოვა.

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმული სხვადასხვა კონფერენციებსა და ოლიმპიადებში, როგორებიცაა: ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა, „kings“-ი, „landon school“-ი, სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა და აქვთ მნიშვნელოვანი წარმატებები, ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ბიოლოგიის მესამე ტურის მონაწილე გახდა მე-12 კლასის მოსწავლე შორენა ბუკია და ველოდებით შედეგებს. სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის

სკოლის ძველი შენობა

პირველი ტურის გამარჯვებულები არიან შორენა ბუკია და მე-11 კლასის მოსწავლე ანი ქირია.

სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული CENN-ს კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელთან და მათთან ერთად ვახორციელებთ სხვადასხვა პროექტებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბზის გადარჩენის პროგრამას. 2015 წლის აგვისტოს თვეში სკოლის მოსწავლეებმა ბზის თესლები შეაგროვეს და თესლის ბანკში ჩააბარეს შემდგომი დამუშავებისთვის, ასევე მათ დააკალმეს ბზა და უვლიან. 2015 წელს მე-10–მე-12 კლასების მოსწავლეები ბიოლოგიის მასწავლებელ ნონა მარგველანთან ერთად მონაწილეობდნენ პროექტში ,,ნიკო კეცხოველის კვალდაკვალ“ და ბახმაროში იკვლევდნენ ალპურ მდელოებს. CENN-ის მიერ ორგანიზებულ კონკურსში ,,ფოტოსინთეზი-2016“, მონაწილეობდა სკოლის სამი მოსწავლე, რომლებიც გადავიდნენ ეროვნულ ტურში, ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ტურის პირველი ადგილის მფლობელი გახდა მე-11 კლასის მოსწავლე–მარიკა კანკია. ნიკო კეცხოველის სახელობის კონკურსში მონაწილე ორასზე მეტ სკოლის მოსწავლეთა შორის წარმატებული აღმოჩნდა ხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები სანდრო ნარსია და მარიამ კანკია. მათი ნამუშევრები წარმოდგენილი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში.
.

სკოლა მონაწილეობს დაწყებითი განათლების პროექტში G-PRIED-ი, სადაც 12 მასწავლებელი კითხვისა და მათემატიკის გაუმჯობესებული მეთოდიკით ასწავლის I-VI კლასებს. ისინი ემზადებიან საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე, მონაწილეობენ ტრენინგებში და მიღებულ პრაქტიკას უზიარებენ თავიანთ კოლეგებსა და მოსწავლეებს.

აქტიურია მოსწავლეთა თვითმმართველობა, ისინი გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს, ჩაბმულები არიან სასკოლო ცხოვრებაში, მათი ინიციატივითა და პედაგოგთა დახმარებით ტარდება კონფერენციები, ლიტერატურული თუ შემოქმედებითი საღამოები, სპორტული თუ საქველმოქმედო ღონისძიებები. განსაკუთრებით აქტიურობენ სანდრო ნარსია, ნია ქირია, ელენე ახვლედიანი, ანი ქირია, ნანო ნარსია, თეონა კუტალია, ზაურ კაკაბაძე, მარიკა კანკია, მარიამ ზარანდია, შორენა ბუკია, ლანა გვაჯაია, თემო კუტალია, მარიკა ბუკია, იური ლატარია, დიმიტრი კაკაბაძე, ქეთევან კანკია, ელენე ბუკია, ნანა რუხაძე, ნინი ბუკია, მარიამ ჭითანავა, დაჩი ბუკია, ნიკო ბარქაია, ნინი ნარსია, მალხაზ კუტალია, თამთა ბუკია.

ხეთის საჯარო სკოლა მუდამ გამორჩეულია თავისი თვითმყოფადობით, ერუდიციით, საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით და ასეც გაგრძელდება. ამის საფუძველს მთელი კოლექტივის მშობლიური სოფლისა და სკოლისადმი სიყვარული, წარსულისა და მომავლისადმი დიდი პასუხისმგებლობა იძლევა.

მანანა ბაძაღუა,
სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ

ხობის მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებისთანავე ხვნის ბარათების დარიგება დაიწყო.

ბარათების გამოყენების წესის განმარტება ვთხოვეთ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსს ბატონ ანტონ ვარდიას.

წარმატებული პროექტი კვლავ გრძელდება

–„მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ მიზანია, 2016 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო პირველადი წარმოების აგროტექნოლოგიური ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობით, მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირების გაგრძელება, მათი მდგრად და განვითარებად ფერმერულ მეურნეობებად ჩამოყალიბება.

პროექტი ითვალისწინებს: ერთწლიანი კულტურების წარმოების აგროტექნიკური (ხვნა) ღონისძიების ჩატარების ხელშეწყობასა და იმ მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის ხელშეწყობას სუბსიდიის გზით (სასუქით ან მცენარეთა დაცვის საშუალებებით, სათესლე და სარგავი მასალით უზრუნველყოფა), რომელთაც თავიანთ მიწის ნაკვეთებზე, მხოლოდ მრავალწლიანი კულტურები აქვთ.

პროექტის ფარგლებში, ბენეფიციარები სარგებელს მიიღებენ ნიადაგის ხვნის ბარათით, რომლითაც შეისყიდიან ხვნის მომსახურებას სააგენტოს კონტრაქტორებისგან.

სასოფლო-სამეურნეო საქონლის მისაღებად, ბენეფიციარები, ისარგებლებენ მათ მფლობელობაში არსებული აგრობარათებით, ხოლო ახალი ბენეფიციარები, რომლებიც წელს პირველად სარგებლობენ ამ ბარათით, აგრობარათებს სს „ლიბერთი ბანკში“ მიიღებენ. ის ბენეფიციარები, რომელთაც დაზიანებული ან დაკარგული აქვთ აგრობარათები, საშუალება ექნებათ, გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილებაში განაცხადის შემდეგ სს „ლიბერთი ბანკის“ ფილიალებში განაახლონ თავიანთი ბარათები.

ბენეფიციარები მათ მფლობელობაში არსებული მიწის ფართობის კატეგორიის მიხედვით მიიღებენ შემდეგი სახის სარგებელს:

ა) ბენეფიციარები, რომელთაც საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ 0,25 ჰა-მდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და მათ იყენებენ ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურების წარმოებისთვის, მიიღებენ 50 ლარის ოდენობის სარგებელს.

ბ) ბენეფიციარები, რომელთაც საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0,25 ჰა-დან 1,25 ჰა-ის ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და მათ იყენებენ ერთწლიანი კულტურების წარმოებისთვის, მიიღებენ ნაკვეთის ფართობის პროპორციული ოდენობის სარგებელს (1 ჰა-ზე 140 ლარის გაანგარიშებით).

გ) ბენეფიციარები, რომელთაც საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0,25 ჰა-დან 1,25 ჰა-ის ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზეც გაშენებული აქვთ მრავალწლიანი კულტურები და არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურების წარმოებისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი, მიიღებენ ნაკვეთის ფართობის პროპორციული ოდენობის სარგებელს (1 ჰა-ზე 140 ლარის გაანგარიშებით).

მიმდინარე პროექტის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ რეგისტრირებულია 12071 ბენეფიციარი. ხვნის ბარათები გაიცემა 10403 ბენეფიციარზე, ხოლო აგრობარათი 1668 ბენეფიციარზე. პროექტის საერთო ღირებულება 2016 წელს ხობის მუნიციპალიტეტში შეადგენს 1.263 ათას ლარს, დამუშავდება 7533 ჰა მიწის ფართობი.

პროექტით ბენეფიციარების მიერ აგრობარათზე არსებული ქულების და ხვნის ბარათის გამოყენების ბოლო ვადაა 2016 წლის 1 დეკემბერი.

იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება აგრობარათებზე დარიცხული ქულების ათვისება 2016 წლის პირველ დეკემბრამდე, სააგენტო მოახდენს გაუნაღდებელი ქულების ანულირებას.

ესაუბრა
მერი ლაგვილავა

სპორტი

ხობის «კოლხეთი» უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად ემზადება

24 მარტს, ხობის ცენტრალურ სტადიონზე, საქართველოს XXVII ერონული ჩემპიონატის XXIV ტურის შეხვედრა გაიმართა პირველი ლიგის გუნდებს შორის ფეხბურთში.

ხობის „კოლხეთმა“ გაგრის „გაგრას“ უმასპინძლა. თამაში მეტად დაძაბულად წარიმართა. მინდვრის თითოეულ მონაკვეთზე ორივე გუნდი ბოლომდე იბრძოდა, შემდეგ თანდათან ხობელთა უპირატესობა გამოიკვეთა. პირველ ტაიმში ვაგნერ ფირცხალავამ შემობრუნებით სტილში დაარტყა გაგრელთა კარისკენ, მაგრამ სტუმართა კარი ძელმა იხსნა. ცოტა ხანში ხობელებს მიეცათ შანსი დაწინაურებისა, მაგრამ მანუჩარ ლომაიამ ვერ შეძლო თერთმეტმეტრიანის გატანა. პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა.

მეორე ტაიმში ხობელებს ჰქონდათ გოლის გატანის შანსები, მაგრამ სტუმართა მეკარე ამის საშუალებას არ იძლეოდა... მატჩის 93-ე წუთზე ლევან ვართაგავას ბრწყინვალე გადაცემით გიორგი ჭედიამ, ანგარიში გახსნა. ერთ წუთში კი „ფიფას“ მსაჯმა სირიელმა აბდულა ბასლე ჰუმ მისცა მატჩის დამთავრების ნიშანი. მატჩი ხობელთა გამარჯვებით 1:0 დამთავრდა.

ამ მოგებით „კოლხეთმა“ გათამაშების ცხრილში მესამე ადგილზე გადაინაცვლა. „კოლხეთის“ ღირსებას იცავდნენ: ზაზა გელაშვილი, გიორგი გოგენია, რონ ონიანი, ოთარ ფიფია, ლევან გოგენია, ვაგნერ ფირცხალავა, ბექა ბაკურაძე, ლაშა მეფიშვილი, ირაკლი გერგაია, ზურაბ ჭანტურიძე., მანუჩარ ლომაია.

მომავალ შეხვედრას კოლხეთი 28 მარტს ქ. ზუგდიდში „ოდიშთან“ გამართავს.

წარმატებები ვუსურვოთ ხობელ ფეხბურთელებს.

ლევან ლემონჯავა.

PS. 24 მარტს ხობის სტადიონზე გულშემატკივრების უჩვეულო სიმრავლე იგრძნობოდა. ხობელ ფეხბურთელთა მხარდაჭერა, მათი ბრძოლა გამარჯვებისთვის იმის მანიშნებელი იყო, რომ ამ გამარჯვებას გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ასეც მოხდა. „კოლხეთმა“ გათამაშების ცხრილში მეოთხედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

მატჩის შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ გუნდის მთავარ მწვრთნელს გია გურულს, რომელიც პროგნოზების გაკეთებაში სიტყვაძვირი გამოდგა...

ბატონი გია თითქმის წელიწადია, რაც „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელია, თავად „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი, შემდეგ პოლონეთისა და საფრანგეთის გუნდების თავდამსხმელი გახლდათ, მოჭარბებული დისციპლინითა და მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეული.

–„კოლხეთი“ გამორჩეულია იმითაც, რომ ადგილობრივი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ორი ხობელი ფეხბურთელი ზუგდიდმა და ვანმა წაიყვანა და გოლის გამტანი ნაკლები იყო. როცა გუნდთან მუშაობა დავიწყე ბოლოსწინა თამაში რომ არ მოგვეგო, პირველი ლიგა უნდა დაგვეტოვებინა. ნახევარი სეზონი გუნდის „დალაგებას“ მოვუნდით. დავიბრუნეთ ოთარ ფიფია, გიორგი ჭედია და მანუჩარ ლომაია.

პირველი წრის თამაშების დაწყება ხობელი ფეხბურთელებით, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით ძირითადი შემადგენლობის ნაკლებობით მოგვიწია. მიზნად დავისახეთ ყველა თამაშის მოგება (მაგრამ ეს მოწინააღმდეგის ინტერესშიცაა და ყველასთან მოგება ყოველთვის არ თუ ვერ ხერხდება). ამ თამაშზეც ბოლო წუთმა გადაწყვიტა მატჩის ბედი, ჭედიამ გოლი გაიტანა და მსაჯის სასტვენის ხმაც გაისმა...

რა თქმა უნდა, გუნდის წარმატება დიდადაა დამოკიდებული ფეხბურთელების მაღალ პასუხისმგებლობასა, მონდომებასა და დისციპლინაზე, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ, წინასწარ პროგნოზებს ვერ გავაკეთებ (არ მიყვარს), მთავარია გვაქვს მიზანი და შანსიც იმისა, რომ „კოლხეთი“ უმაღლეს ლიგაში გადავიდეს. ვნახოთ, წინ კიდევ 9 თამაში გველის.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლიერება გამოვხატო გულშემატკივრების მისამართით. რომლებიც როგორც იტყვიან, მოედანზე მე-12 მოთამაშეა. ხობელ გულშემატკივრებზე კი ვიტყოდი–საუკეთესო მოთამაშენი.

გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როცა გავიგეთ, რომ ხობის „კოლხეთისა“ და ზუგდიდის „ოდიშის“ შეხვედრა ფრედ 0:0 დამთავრდა.

მერი ლაგვილავა

მძლეოსნობა

21 მარტს ქ. ხობში ცენტრალურ სტადიონზე მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის კროსში სასკოლო სპორტული ოლიმპიადა გაიმართა, შეჯიბრებაში გოგონათა 13 და ჭაბუკთა 15 გუნდი იღებდა მონაწილეობას. თითოეულ საჯარო სკოლის გუნდში ირიცხებოდა 3-3 მონაწილე (2 ძირითადი და 1 სათადარიგო). გოგონები ერთმანეთს 800 მეტრ მანძილზე, ხოლო ჭაბუკები 1000 მეტრ მანძილზე გარბენში ეჯიბრებოდნენ.

გოგონათა გეზრბენში მესამე ადგილი დაიკავა ნოჯიხევის №2 საჯარო სკოლამ (დირექტორი ნაზი ხასია, სპორტის მასწავლებელი ლაშა სერგია).

მეორე ადგილზე გავიდა ხობის №2 საჯარო სკოლა (დირექტორი ნანა ქვარაია, სპორტის მასწავლებელი ინდირა გრიგოლიანცი, პაატა ზარანდია).

პირველ ადგილზე გავიდა და რეგიონის ასპარეზობაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა ხობის №1 საჯარო სკოლამ (დირექტორი ქეთევან გაბისონია, სპორტის მასწავლებელი ლაშა სიჭინავა).

ჭაბუკებში მესამე ადგილი დაიკავა ნოჯიხევის საჯარო სკოლამ (დირექტორი ნაზი ხასია, სპორტის მასწავლებელი ლაშა სერგია).

მეორე ადგილი დაიკავა ახალი ხიბულის №2 საჯარო სკოლამ (დირექტორი ნინო ჭილაია, სპორტის მასწავლებელი კობა სოსელია).

პირველი ადგილი დამსახურებულად დაიკავა და ასევე რეგიონის პირველობის საგზური ერგო ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლას (დირექტორი ლუარა ყალიჩავა, სპორტის მასწავლებელი რომან მორგოშია, მარეხი ფილფანი).

შეჯიბრებისთვის პრიზები დააწესეს საქართველოს პარლამენტის წევრმა ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბატონმა გოდერძი ბუკიამ, მუნიციპალიტეტის გამგეობამ და საკრებულომ.

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ თასებითა და სიგელებით, გამარჯვებულები დაჯილდოეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ედიშერ ჯობავამ, გამგებლის მოადგილემ ბატონმა მახარე ჩოკორაიამ, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლებმა ქალბატონებმა ნინო ცხადაიამ და ნინო პაჭკორიამ.

შეჯიბრება ორგანიზებული იყო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ.

კალათბურთი

12–14 მარტს ხობის №1 საჯარო სკოლის სპორტდარბაზში. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის, ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა კალათბურთში, შეჯიბრებაში გოგონათა 4 და ჭაბუკთა 11 გუნდი იღებდა მონაწილეობას. შეჯიბრება ჩატარდა ცალ ფარზე 3X3-ზე პრინციპით, სადაც გამოვლინდნენ პრიზიორები და ჩემპიონები.

გოგონათა შორის მესამე ადგილი დაიკავა შუა ხორგის საჯარო სკოლამ (დირექტორი გულნარა ტაბაღუა, სპორტის მასწავლებელი ანატოლ ჩარტია).

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ხობის №1 საჯარო სკოლისა და ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლის გუნდები. შეხვედრა დაძაბულად წარიმართა და მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ. შემდეგ დაინიშნა 3-3 პერსონალური ტყორცნა, სადაც 2:1 გაიმარჯვეს ხობელებმა. ამრიგად, მეორე ადგილზე გავიდა ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლა (დირექტორი მაია ქაჯაია, სპორტის მასწავლებელი რევაზ ნადარაია).

მუნიციპალიტეტის ჩემპიონი გახდა და რეგიონალურ პირველობაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა ხობის №1 საჯარო სკოლამ (დირექტორი ქეთევან გაბისონია, სპორტის მასწავლებელი რევაზ ნადარაია).

ჭაბუკთა შორის მესამე ადგილი დაიკავა ხობის №1 საჯარო სკოლამ (დირექტორი ქეთევან გაბისონია, სპორტის მასწავლებელი ლაშა სიჭინავა).

ფინალში ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლის კალათბურთელთა გუნდმა დიდი ანგარიშით დაამარცხა ხეთის სკოლა. ამრიგად ხეთა მეორე ადგილზე გავიდა (დირექტორი მანანა ბაძაღუა, სპორტის მასწავლებელი სოსო ქანდარია).

პირველი ადგილი დაიკავა და ასევე რეგიონალურ ასპარეზობაზე თამაშის უფლება მოიპოვეს ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (დირექტორი მაია ქაჯაია, სპორტის მასწავლებელი რევაზ ნადარაია).

პირველი ადგილისთვის განკუთვნილი თასები დააწესა საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ. პრიზებით და სიგელებით პრიზორები და გამარჯვებულები დაჯილდოვეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ედიშერ ჯობავამ, გამგებლის მოადგილემ ბატონმა მახარე ჩოკორაიამ, საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ალექსანდრიამ, მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსმა ქალბატონმა ნანა ბუკიამ.

გამარჯვებული გუნდები უახლოეს მომავალში რეგიონალურ პირველობაზე მიიღებენ მონაწილეობას.

შეჯიბრება ორგანიზებული იყო მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ.

მასალები მოგვაწოდა ***ლევან ლემონჯავამ***

სულთათანა

ზურაბ ბაგის ძე ბუკია

ეს-ესაა ორმოცი დღე შესრულდა, რაც დაგვტოვა შენმა მოყვასისა და სამშობლოს სიყვარულით აღსავსე კეთილმა სულმა და მარადისობაში გადაინაცვლა, სადაც მართალთა და სიმართლისთვის წამებულთა სულები განისვენებენ. მთელი შენი ცხოვრება ნათელი მაგალითია ზნეობის, უკომპრომისობისა და ქვეყნის უანგარო ცხოვრების, რასაც მოწამეობრივი ცხოვრება და ასეთივე სიკვდილი მოსდევს.

ცხოვრების ასპარეზზე ნიჭიერი სტუდენტისა და პერსპექტიული პედაგოგის იმიჯით გამოსული ახალგაზრდა მხედველობიდან არ გამორჩენიხარ იმდროინდელი განათლების განყოფილების გონიერ ხელმძღვანელებს და ცოტა ხანში შენი სოფლის საშუალო სკოლის ერთ-ერთ ხელმძღვანელად დაგაწინაურეს, ხოლო როგორც ფიზიკური კულტურის უაღრესად ერუდირებული და დახვეწილი მასწავლებელი, იმთავითვე აღმოჩნდი ამავე დარგის გამორჩეულ სპეციალისტთა რიგებში.

სულ მალე ერის საამაყო შვილების მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო და შენც ყოველგვარი ფიქრისა და ყოყმანის გარეშე პირველი დღიდანვე მის რიგებში ჩადექი და სიცოცხლის ბოლომდე არ გიღალატნია შენი მრწამსისა და სამშობლოს სიყვარულისთვის. მეტიც, შენი სათაყვანებელი ოჯახის ინტერესები მას ანაცვალე და ბოლოს შენელებული მოქმედების ნაღმის პრინციპით სიცოცხლეც სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირე. მანამდე კი იყო ქვეყნის დამანგრეველი უდიდესი ტრაგედიები, რაც მერაბ კოსტავას საიდუმლოებით მოცული დაღუპვით დაიწყო, რომლის მიზანი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შეჩერება იყო, რაც ქვეჟნის მტრებმა ვერ შეძლეს. შემდეგი სამიზნე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე პერსპექტიული ლიდერი, ჩვენი თანამემამულე, ხობის მკვიდრი და მისი პირველი პრეფექტი თენგიზ ქაჯაია გამოდგა, რომელსაც, როგორც უჭკვიანესსა და იშვიათი კომუნიკაბელური ნიჭით დაჯილდოებულ პოლიტიკოსს, დაპირისპირებულთა ორივე მხარეს ყავდა მეგობრები, მათი შერიგება და საქართველოს გადარჩენა შეეძლო. მოვლენების სხვაგვარად განვითარებისა და ამ ამაზრზენი ტრაგედიის თავიდან აცილების შემთხვევაში, ქართველი ხალხი სამოქალაქო ომს, ხოლო თბილისი დანგრევას გადაურჩებოდა. თვითონ კი, დიდი ალბათობით თავის ნიჭიერ თანატოლებთან ერთად სახელმწიფოს მართვის სადავეებს ჩაიბარებდა და ქვეყანას განვითარების ბუნებრივ, თვითმყოფად გზას შეუყენებდა. მისი სიკვდილი უცილობლად საქართველოს პერსპექტივის მოკვლას ნიშნავდა.

ქართველი ხალხის უბედურების აპოგეა კანონიერი პრეზიდენტის ჩამოგდება და სიკვდილი იყო, რაც დიდი ხნის განმავლობაში არავის სჯეროდა, რადგან ყველა აცნობიერებდა თუ რა დამღუპველ შედეგებს მოიტანდა იგი და როგორ დაღს დაასვამდა ქვეყნის განვითარებას. შენთვის, როგორც კანონიერი პრეზიდენტის მომხრისთვის და მის დროს არსებული ყველა წესების დაცვით მშობლიური სოფლის ხელმძღვანელად არჩეული პატრიოტებისთვის, ცხოვრების ერთი ეტაპი დამთავრდა და მეორე, დევნისა და რეპრესიების ფონზე, ქვეყნის თავისუფლებისთვის და სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლა დაიწყო. ნათქვამია, უბედურება მარტო არ მოდისო და ამ საქვეყნო ტრაგედიებს შენი პიროვნული ტკივილებიც დაემატა, რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო და რასაც შენი საამაყო სიძის, აფხაზეთში ცნობილი და დაფასებული ოჯახიშვილის, უბრწყინვალესი ქართველი ვაუკაცის რეზო ცანავას სიკვდილმა დაუდო სათავე, რომელსაც მაგიდაზე დარჩა დასაცავად გამზადებული, რეცენზირებული სადოქტორო დისერტაცია. მერე საკმაოდ ახალგაზრდა შენი უმშვენიერესი მეუღლე ქალბატონი ნარგიზა წავიდა ამ ქვეყნიდან და საქვეყნო თუ პირად საქმეებს შეჭიდებული მარტო დაგტოვა. ფიზიკურად ძლიერმა და სულიერად გაუტეხელმა, აქცენტი ოჯახზე გადაიტანე, შვილები დააოჯახე და შვილიშვილების აღზრდას შეუდექი, რომელთა ფიზიკური გამორჩეულობა და ნიჭიერება გიხალისებდა სიცოცხლეს. მაგრამ ყველასთვის საყვარელი შენი დის ლიას ავადმყოფობამ და უდროო გარდაცვალებამ საბოლოოდ გაგტეხა. ან რამდენი უბედურებისთვის უნდა გაეძლო შენს ათასგვარი ვარამით დამძიმებულ და მტკივან გულს.

ჭარმაგობაში შესულს სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად ხალხი „ბაგრატოვიჩს“ გეძახდა, რაც მამაშენის დაფასებადაც მიგაჩნდა და გსიამოვნებდა. სოფელში დღესაც ლეგენდად დადის თუ როგორ შემოუთვალა მამაშენს–საკმაოდ მდიდარსა და ცნობილ მეტყევეს ერთმა სისასტიკით განთქმულმა აბრაგმა ამა და ამ ადგილას ამდენი თანხა მომიტანეო. ჭკვიანად იყავიო–დაუბრუნა პასუხი მამაშენმა და ერთ მთვარიან ღამეს არცთუ შორეული მეზობლის გასაძარცვად მიმავალ, მხარზე თოფგადაკიდებულ აბრაგს ჩახმახზე შეყენებული იარაღით წინ გადაუდგა. მერე სახელისა და გვარის ხსენებით მიესალმა, თოფი თვითონაც მხარზე გადაიკიდა და ვითომც არაფერიო ზურგი შეაქცია. მეორე დღეს უთენია აბრაგმა ისევ ის კაცი „აწვია“, დანდობისთვის დიდი მადლობა, ხოლო შეწუხებისთვის ბოდიში შემოუთვალა, თან ყოველგვარი „აბრაგული წესების“ დარღვევით საქმის მიმცემიც დაუსახელა. რაც მისი ავკაცობის და ჩაუქობის აღიარებას ნიშნავდა.

უბრწყინვალესი ქართული ტრადიციების განუხრელად დამცველ ოჯახში აღზრდილს, ცხოვრების უმთავრეს მიზნად ამ ტრადიციების დაცვა და მომავალი თაობებისთვის გადაცემა მიგაჩნდა. სწორედ აქედან იღებს სათავეს შენი ოჯახის განთქმული სტუმართმოყვარეობა და შენი საარაკო თამადობა. ბევრს დღესაც ახსოვს, როგორ უთამადე ხუთასკაციან ქორწილს სრულიად ახალგაზრდა კაცმა, როგორ აამღერე და ააცეკვე, როგორ მოალხინე ისინი და იქ ყოფნა დაუვიწყარ საღამოდ უქციე. შენი ცხოვრების არც თუ ხანმოკლე გზაზე, ვინ იცის, რამდენი ასეთი საქორწილო და სამეგობრო სუფრა იყო.

შენი ოჯახი და სანათესაო, სამეზობლო და სამეგობრო, მთელი შენი თაობა მწვავედ განიცდის შენს უეცარ გარდაცვალებას. შენი ნათელი ხსოვნა, როგორც სამშობლოს სიყვარულის ზვარაკად შეწირული კაცისა, დიდხანს, ძალიან დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში.

ბიძაშვილი ზურაბ ბუკია.

არჩილ ჭავჭანიძე

5 წლის წინ, ზამთრის მიწურულს, 27 თებერვალს, ჩუმად წავიდა ამ ქვეყნიდან და უდიდესი ტკივილი დაუტოვა ოჯახს, მეგობრებს, სოფელს.

როცა ბატონ არჩილ ჭავჭანიძეზე ვსაუბრობთ, უპირველესად, მისი უსაზღვრო კეთილშობილება, თავმდაბლობა და საკუთარ პროფესიაში უზომოდ შეყვარებული ადამიანის სახე წარმოგვიდგება.

არჩილ ჭავჭანიძემ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1972 წელს, 22 წლის ასაკში თორსის საჯარო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მას მერე ერთი წუთითაც არ უფიქრია არც სკოლის, არც სოფლის დატოვება. მისთვის, საყვარელი იმერეთის, ხონის შემდეგ ეს ადგილი ყველაზე თბილი და მშობლიური გახდა. აქ შეიძინა მეგობრები, აქ შექმნა ოჯახიც. მისი მეუღლე, ქალბატონი ვანელა გვაჯაია, წლების განმავლობაში თორსის საბავშვო ბაღის გამგედ მუშაობდა. ამჟამად ქალბატონი ვანელა სკოლის ისტორიის მასწავლებელია. მათ საუკეთესო ვაჟკაცები აღზარდეს–დათო და გუჯა. მამის გარდაცვალების შემდეგ შექმნეს შვილებმა ოჯახები. დღეს ბატონი არჩილი სამი შვილიშვილის ბაბუა იქნებოდა.

ბატონმა არჩილმა სკოლის დირექტორად 23 წელი იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში სულ ოცნებობდა სკოლის რეაბილიტაციაზე. დასანანია, რომ ის ვერ მოესწრო განახლებულ და გალამაზებულ სკოლას...

სკოლის თითოეულ პედაგოგს, მოსწავლეს, სოფელს ყოველთვის ემახსოვრება ის ადამიანი, რომელიც სკოლისთვის ცხოვრობდა, მისით სუნთქავდა, მისთვის იღვწოდა...

ბატონი არჩილი ჩვენთვის ყოველთვის დარჩება ადამიანად, რომელიც დააკლდა სკოლას, ოჯახს, საზოგადოებას...

თორსის საჯარო სკოლის პედკოლექტივი

ეთერ ბიწაძე

გაზაფხულდა და სიმწვანე მოეძალა ბუნებას. გაკვირტულმა ხეებმა და ყვავილებმა დაამშვენა ეზოები. ხობში თქვენი საცხოვრებელი ბინის წინ რომ ტყემლის ხე ხარობდა, ისიც აყვავდა ეთერ მასწავლებელო, თქვენი ტყემლის ხე... და იცით, როგორ ლამაზად?! მისი ყვავილების სითეთრე ფანტელებად იფანტება ირგვლივ.

ეთერი ბიწაძე–ქალი, რომელმაც მხნედ, პატიოსნად და დაუღალავად, დიდი მოწიწებით, და კრძალვითა და სისპეტაკით ატარა მასწავლებლობის და დედობის ტვირთი. ცხოვრებაში ბევრი ავი და კარგი გამოსცადა დედაც იყო, ბებიაც, დიასახლისიც და ოჯახის მამაც.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ერთად ვმუშაობდით, ერთ სახლში გვერდიგვერდ ვცხოვრობდით და მუდამ ცდილობდით გული არასოდეს დაგეწყვიტათ ჩემთვის, ჩემი შვილი–ამირანი გამიბრაზდება, მას ძალიან უყვარხარო.

ფეხაკრეფით წახვედით ჩვენგან ეთერი მასწავლებელო. თქვენი სიცოცხლის ბოლო წუთებში ხობში არ ვიყავი, თურმე მკითხულობდით... ეს ცრემლებამდე მტკივა, ნეტავ რისი თქმა გსურდათ?!

მშვიდად, წყნარად, დაღლილ-დაქანცულმა დატოვეთ სააქაო, ხობი და უამრავი გულისწყვეტა გაიყოლეთ თან. ნათელი არ მოაკლდეს თქვენს წმინდა საფლავს, სანამ ვცოცხლობ, არასოდეს დაგივიწყებთ, თქვენი ბუზღუნი მენატრება...

აივნიდან სიყვარულით ვეალერსები თქვენი ტყემლის ხეს თქვენი თმებივით თეთრად რომ გადაპენტილა და ისე ვუღიმი, როგორც თქვენ გიღიმოდით.

გაზაფხულის დღესასწაულებს გილოცავთ ქალბატონო ეთერ! მთელ მოკრძალებას, პატივისცემას და ხსოვნას გჩუქნით.

მაია კუჭავა.

ლიანა გვაზავა-ჯალალონია

გაზაფხულს გილოცავ დედა.

ჩემო დედიკო, ლოცვით ვდგები და თვალწინ მიდგეხარ, მითენდება და მიღამდება შენზე ფიქრით, შენი მონატრებით, გელი, გელოდები, რომ ვერ ვახერხებ მოფერებას გული მეწვის და ცრემლები მახრჩობს. ჩემო დედიკო, კეთილშობილო, თბილო, მშრომელო–უპრეტენზიო იყავი, წესიერი ქცევითა და ყოფით ოჯახს დაჰფოფინებდი, ობლებს ზრდიდი, სრულიად ახალგაზრდა დაქვრივდი, ოჯახის ბურჯო, სულისჩამდგმელო. რამდენი ღამე გითენებია და ჯაფა გაგიწევია.

ჩემო ლამაზო, თვალხატულა, ღიმილიანო, უსაზღვროდ მენატრები, ძნელი ყოფილა სევდიანი სიტყვების წერა მასზე, ვისაც მშობელი დედა, აღმზრდელი და მეგობარი ჰქვია. მოგმართავ როგორც ცოცხალს, ვერაფრით ვერ წარმომიდგენია შენი ამქვეყნიდან წასვლა, თურმე, როგორ მყვარებიხარ, მახრჩობს შენი მონატრება. ნეტავ შეიძლებოდეს ერთხელ კიდევ ჩაგეხუტო და მოგეფერო, დაგიკოცნო შენი ლამაზი თვალები. ამბობენ, დრო ყველაფრს მკურნალიაო–ტყუილია, რაც დრო გადის უფრო მიახლდება ტკივილი, რომელსაც შენი სიყვარული ჰქვია. შენ ხომ ჩემი უჭკვიანესი დედიკო, კარგი დიასახლისი, ამასთან ერთად კარგი სპეციალისტი, პროფესიონალი ექთანი იყავი. შენ არაერთხელ დაგაფასა ზუგდიდის საზოგადოებამ, არა ერთი სიგელითა და მედლით იყავი დაჯილდოებული. რამდენი ჩვილი და ახალგაზრდა დედა გაგიხარებია. შრომა არ დაგკარგვია. ყოფილმა ჩვილებმა, ახალგაზრდა გოგო-ბიჭებმა ცხარე ცრემლებით დაგიტირა.

შენი სურათებია ჩემი დამამშვიდებელი. ვცდილობ, ისევ ვიცხოვრო, როგორც შენ მოგეწონებოდა. საყვარელი ტატიანა დეიდა და და-ძმა გვერდით მიდგას, მამხნევებენ. გული მწყდება, უშენოდ ცხოვრება ჩვეული დინებით რომ მიდის. განგების ნებას ვერავინ შეცვლის, მაგრამ ვცხოვრობ ერთი იმედით, რომ შენ ჩვენში დარჩები როგორც საოცრად კეთილი, ტკბილი დედა და ბებია, ღირსეული მეუღლე. სიკეთით სავსე ქალბატონი, რომელსაც სხვისი ტკივილი საკუთრად მიაჩნიდა. ერთი წელი გაილია, რაც მარადისობაში გადასულს გიგონებ, ძალიან მაკლიხარ.

ნათელში ამყოფოს შენი სული ჩემს ახალგაზრდა მამასთან ერთად.

და ტატიანა, შვილები: ნანი, ნანა, მამუკა ჯალალონიები.

ხსოვნა გოგი (გაიოზ) ბუკია

ძმაო გოგი, შენი სიკვდილი ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. გული მიკვდება, როცა იმ ავადმოსაგონარ დღეს–2007 წლის 26 მარტს ვიხსენებ... მეგობრებმა მითხრეს, გოგიმ დაგვტოვაო. ეს იყო ჩვენთვის დიდი გულისტკივილი, ვინაიდან ჩვენს საძმოს, ჩვენს თანაკლასელებს გამოაკლდა შემდგომში რესპუბლიკაში ერთ-ერთი უნიჭიერესი ჟურნალისტი, სამეგრელოს რეგიონში ყველასთვის ახლობელი და ნაცნობი, ხობის კოლორიტი, გოგი ბუკია.

გოგი ჩვენს კლასში ყველასგან გამორჩეული იყო. მას ყველა თანაკლასელი უყვარდა, მაგრამ ჩვენი მეგობრობა გამორჩეული იყო. პირველი მაისის საშუალო სკოლის რვა კლასი ერთ მერხთან გავატარეთ, შემდეგ სწავლა სოხუმში გააგრძელა.

გოგის დიდ იუმორს გავიხსენებ: ერთ-ერთ გაკვეთილზე გოგიმ ყურში ჩამჩურჩულა, სიცილი წამსკდა, მასწავლებელმა იმწამსვე გაკვეთილიდან გარეთ გამაგდო. გოგი კი „დაუსჯელი“ დარჩა. მას შეეძლო სასაცილო ანეგდოტები მოეყოლა, ისე, რომ ერთს არ გაიცინებდა.

გოგის დედა, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ყველასთვის საყვარელი ქალბატონი ელეონორა კოდუა-ბუკია ჩვენი ბიოლოგიის მასწავლებელი გახლდათ, ის ჩვენზე დედასავით ზრუნავდა. ბევრი კარგი, რაც ჩემშია, ქ-6 ელეონორას დამსახურებაა. ნორა მასწავლებელი მეტყოდა, შენ გოგის მეორე ძმა ხარო.

ჩემო ძმაო, გოგი, ასე გრძელდებოდა ჩვენი მეგობრობა წლების მანძილზე. შენ, რომ ხობის რაიონული გაზეთიდან წახვედი და სწავლა ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძე, მე მაშინ მოვედი რედაქციაში და ჩვენი მეგობრობა ისევ გრძელდებოდა.

გოგი, მეგობარო, შენ სწავლის დამთავრების შემდეგ სულ მალე შექმენი სანიმუშო ქართული ოჯახი ქ-6 ნანი კილასონიასთან, რომელიც ჩემთვის მეორე დასავით იყო და არის დღესაც. თავს ევლებოდი შენს ლამაზ ოჯახს, ერთადერთ ვაჟ გიორგის, სათაყვანებელ რძალ თამუნას, რომლებმაც სურვილი და ნატვრა აგისრულეს, მეოთხის მოლოდინში სამ თვალხატულა შვილიშვილებს გიზრდიან.

ღმერთს შევსთხოვ ამრავლოს შენი ოჯახი, მაგრამ გული მტკივა, რომ შენ ვერ მოესწარი ამ ბედნიერებას, 53 წლის ასაკში წახვედი და დიდი ტკივილი დაგვიტოვე.

გჯეროდეს, რომ შენი ოჯახი, ნათესაობა, შენი მეგობრები, თანაკლასელები არ დაგივიწყებთ და მუდამ გვემახსოვრები.

თანაკლასელების სახელით
გიგლა კვიკვინია.

„დედა ერთია, დედა მშობელი“...

ხობის მუნიციპალიტეტის №3 საბავშვო ბაგა-ბაღში შესულს, ლამაზად მორთული გარემო, საგაზაფხულო ფერებში, ნაირნაირი ყვავილებისგან შექმნილი კომპოზიციები ამშვენებდა. მართალია, ბაღი სარემონტოა, კედლები ჩამოფცქვნილი და ინფრასტრუქტურა მოსაწესრიგებელია, მაგრამ არა პატარები ბევრ სიახლეს, მათთვის თავის შეყვარებაც შეძლო და დღეს ისინი უკვე დიდებივით დგანან სცენაზე, კომპოზიცია, რომელიც მათ დედებს მუძღვნეს, სიყვარულსა და სითბოს ასხივებდა. დედიკოების დანახვაზე ზოგს გულიც კი აუჩუყდა... ზეიმი თავად მასწავლებელმა საკუთარი ლექსით გახსნა.

ორმოცდახუთ წუთიან კომპოზიციაში პატარების გულიდან წამოსული სიყვარული იფრქვეოდა დარბაზში. ამ პატარების დედების გულშიც ირხეოდა სიმი, რომელსაც ასე სათუთად და ნაზად ეხებოდნენ მათი შვილები... არის ერთი პატარა სიტყვა, რომელიც ადამიანს სიცოცხლის ბოლო წუთებამდე თან სდევს, იგი გაუბედავად ამოფრინდება ხოლმე ჩვილის ათრთოლებული ბაგიდან და უკანასკნელი სიტყვაც ხომ ეგ არის მომაკვდავისა.

„დედა“, როგორი მეტყველი და თბილია ეს სიტყვა.

„დედამიწაზე სინაზის გრძნობა ალბათ პირველად დედის მიმართ გაჩნდა. სათნოებასაც დედა ასხივებს...“

„ნეტავ იმ ერს, რომელსაც კარგი დედები ჰყავს...“

„დედაშვილობა-სიცოცხლის ზღაპარი, დედა-იმედის საამო ბაღნარი“-მღერიან პატარები...

ღმერთმა ნურც ამ ბაღნარში სეირნობა მოგიშალოთ და ნურც ეს ზღაპარი დაგიმთავროთ...

სიმღერას ლექსი და ცეკვა ცვლიდა, ყველა გახალისდა...

ღონისძიების დასასრულს კი უკვდავმა „იავნანამ“ გაიჟღერა.

გილოცავთ დედებო, დედის დღეს! ამ სიტყვებით დაგვემშვიდობნენ აღსაზრდელები და მორცხვად ყვავილები ჩამოგვირიგეს.

მიუხედავად ამისა, ესთეტიკური მხარე იქ დაცულია კოპწიად მორთული ეზო-გარემო ამის თქმის უფლებას მაძლევს. თუმცა ჩემთან საუბარში ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მითხრეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ბაღის გარემონტებას შეპირდა, იმედი ვიქონიოთ, მათი დანაპირები მალე შესრულდება და ამ თვალხატულა გოგო-ბიჭებს ლამაზ გარემოში მოუწევთ ყოფნა. ეს ისე შესავლისთვის, ისე ჩემი სტუმრობა მათთან სულ სხვას, უფრო პოზიტიურს უკავშირდება. პატარები ზეიმს აწყობენ, აღმზრდელი ლელავს, ჯგუფი სულ რამოდენიმე თვეა რაც ლალი ჭედიამ ჩაიბარა. მან აზი-

ვუყურებდი ამ პატარა გოგობიჭებს და გული სიხარულით მევსებოდა, მათგან წამოსული პოზიტიური განწყობა მთელი დღე თან დამყვებოდა.

მადლობა მინდა გადავუხადო პედაგოგ ლალი ჭედიას, თითოეულ მასწავლებელს, ადმინისტრაციას ასეთი ლამაზი დღისათვის.

ნინო გერგაია

დიდმარხვა (აღდგომის) მარხვა

ხანგრძლივი და ძალზედ საპასუხისმგებლოა დიდი წმიდა მარხვა, რომელიც აღდგომის წინ 49 დღით ადრე იწყება და ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულამდე გრძელდება. დიდი მარხვის დროს ორი უდიდესი დღესასწაულია ხარება და ბზობა;

ხარება – მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ ქალწულ მარიამისადმი უწყება იმისა, რომ მისგან კაცობრიობას მოევლინებოდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

ბზობა – იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში.

ბზობის დღესასწაულს წინ უძღვის **„ლაზარეს შაბათი“**, ეკლესია ამ დღეს დღესასწაულობს იესო ქრისტეს მიერ თავისი მეგობრის, ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგინებას. ბზობის დღესასწაული ხსნილია თევზით. მორწმუნეთ ურიგდებათ ნაკურთხი ბზის ტოტები, ნიშნად იმისა, თუ როგორ უფენდნენ მწვანე რტოებს ებრაელები იესო ქრისტეს, როცა ის დიდებით შედიოდა იერუსალიმში პასექის უკანასკნელ დღესასწაულზე. წინა წელს ნაკურთხი ბზის ტოტები დაუშვებელია უდიერად გადაიყაროს, არამედ უნდა დაიწვას, ან ტაძრის ეზოში, ან სადმე წმიდა ადგილას.

წმიდა ეკლესია დიდი მარხვის პერიოდში, ორმოცი დღის განმავლობაში იხსენიებს მიცვალებულებს, რომელსაც ეწოდება ორმოცდღიანი მოსახსენიებელი; ყოველ შაბთს დიდ მარხვაში კეთდება მიცვალებულთა სახელზე საკურთხი, გარდა დიდმარხვის პირველი კვირის შაბათისა.

ვნების შვიდეული დიდ მარხვის მომდევნო კვირაა. ამ შვიდეულში მოხდა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს წმიდა ვნება ჯვარზე. ამ კვირაშიც, დიდ მარხვის პირველი კვირის მსგავსად მკაცრად ვმარხულობთ (უზეთოდ, ვისაც ეს ძალუძს), გარდა ხუთშაბათისა. ხუთშაბათი ზეთით ხსნილია. ამ დღეს იესო ქრისტემ თავისი 12 მოწაფის საიდუმლო სერობა მოიწვია და დააწესა **ზიარების** საიდუმლო. ყოველი მართლმადიდებელი უნდა ეცადოს ამ დღეს ზიარებას.

დიდი ხუთშაბათიდან მოყოლებული წმ. ეფრემ ასურის სინანულის ლოცვა „უფალო და მეუფეო“ აღარ იკითხება, ე.ი. ამ ლოცვის კანონი წყდება.

ვნების შვიდეულში მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე დღე **„წითელი პარასკევია“**. ამ დღეს მოხდა ჯვარცმა და ხორციელი სიკვდილი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ამ დღეს სრულდება „გარდამოხსნის გადმოსვენება“. დილით კი, იკითხება „თორმეტი ვნების სახარება“.

დიდ შაბათს, დილით, სრულდება გარდამოხსნის შემოტარება ტაძრის გარშემო, რის შემდეგაც მას შუა ტაძარში დაასვენებენ. ეს მომასწავებელია უფლის წმიდა სხეულის გადმოსვენებისა ჯვარცმის ადგილიდან მისთვის გამზადებულ საფლავში. ყოველივე ამის შემდეგ, ხდება მზადება **უფლის ბრწყინვალე აღდგომის** შესახვედრად.

დიდ მარხვაში იკითხება წმიდა ეფრემ ასურის ლოცვის კანონი ყოველდღიურად 16 მეტანიით (კვირის გარდა).

აღდგომის დღესასწაული მოძრავია.

აღდგომის მარხვაში, ისევე, როგორც ტაძრებში წმიდა ხატები, საკურთხეველი და ანალოგიები იმოსება დიდი მარხვის მწუხარე ჟამის აღსანიშნავად, შავი წმიდა ქსოვილით, ასევე მორწმუნეებმა, სახლებში, საკუთარი ხატების კუთხეც, შავი ქსოვილის ნაჭრით უნდა შემოსონ წმიდა ხატები და მაგიდა სადაც სახარება, კანდელი, სასანთლე და სიწმინდეები არის დაბრძანებული.შავი ქსოვილის გარდამოხსნა ხდება შაბათ საღამოდან და ასეა მთელი კვირა დღის განმავლობაში, და კვლავ შეიმოსება ორშაბათიდან.

განცხადება

ქირავდება მიცვალებულთა დაკრძალვის აქსესუარები: ჩასასვენებელი მაცივრები, შანდლები, კათაფალკა და სხვა.
ფასი შეთანხმებით.
მისამართი: ხობი, პირველი მაისი (ძველი ავტოინსპექციის შენობის წინ).
იკითხეთ გენო ქანდარია.
ტელ: 593-95-32-26; 555 36-58-70.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.